

ISSN 1512-1593

**გელათის მეცნიერებათა
აკადემიის ჟურნალი**



**JOURNAL
OF GELATI ACADEMY
OF SCIENCES**

1

2025

ჟურნალი გამოდის უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II-ის

კურთხევითა და ფინანსური ხელშეწყობით

გამოდის 2002 წლის
სექტემბრიდან

ჟურნალის დამაარსებელი **მაგალი თოდუა**

მთავარი რედაქტორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ეკა დადიანი

რედაქტორი
ბელა სურგულაძე

სწავლული მდივანი
თაბარ ლაკვიშვილი

ქუთაისი - 2025

ყდაზე - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
(<https://nostal.ge/2025/01/07/sashobao-epistole-2025/>)

პატრიარქის საზოგადოებრივი პოზიციები

საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთ, მკვიდრთ ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ:

„სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გამათავისუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის რჯულისაგან“ (რომაელთა 8,2).

ქრისტესმიერ საყვარელნო დანო და მძნო, ქრისტე იშვა!

ქრისტესმიერ იშვა სიტყვა ღვთისა – უფალი ჩვენი იესო ქრისტე – „ვის მიერადაც ყოველი შეიქმნა, და არაფერი შექმნილა მის გარეშე, რაც კი შექმნილა!“ (იოანე 1.3). „გახარებთ დიად სიხარულს, რომლითაც იხარებს ყოველი ერი, რამეთუ დღეს დავითის ქალაქში დაიბადა... მაცხოვარი“ (ლუკა II, 10-11).

ყველა პრობლემას უკვე ჩვენ ამ სიხარულით ვფარავთ, ამით ვძლევთ ჩვენს სისუსტეებსა და განსაცდელს, ამით ვძლევთ უსამართლობას, მწუხარებასა და ტკივილს.

მართლაც, რა უნდა იყოს იმაზე მნიშვნელოვანი და დიადი, როცა თვით ღმერთი შემოდის ჩვენს ცხოვრებასა და ისტორიაში, რათა ჩვენი არსებობის მთავარი მიზნის განხორციელებაში დაგვეხმაროს.

მაგრამ როგორ შევხვდებით მას, ვითარცა ძენი და ასულნი ღვთისანი, ვითარცა თვისნი მისნი, თუ როგორც მხოლოდ შორეულნი, უცხონი ან თითქმის მისგან განდგომილნი?

* * *

ჩვენ უფლის განგებულების განსაკუთრებული გამოვლინებანი ვართ.

გასაოცარი ყველაფერი, რაც ჩვენს პირველმშობლებამდე შეიქმნა, – უმცირესი ნაწილაკები იქნება ეს, მცენარეები, ფრინველები, ცხოველები, ზღვის ბინადარნი თუ ციური სხეულები... ისინი დიდი მრავალფეროვნებით, დიდი უნარებით, დიდი თავისებურებებით გამოირჩევიან, მაგრამ მათი მოქმედებები და შესაძლებლობები იყო და არის შეზღუდული.

მხოლოდ ადამიანი მოიცავს ფიზიკურსა და სულიერს, მიკრო და მაკრო სამყაროს, და ძალუძს შეიყვაროს იგი, როგორც თავისი ნაწილი ამქვეყნადაც და მარადისობაშიც.

მხოლოდ ადამიანი ღვთის ხატებად და მსგავსებად შექმნილი, გონიერი, მეტყველი, სიკეთით, თავისუფალი ნებითა და ღვთაებრივი სიყვარულის უნარით დაჯილდოებული არსება; მოწოდებული, შეიცნოს ჭეშმარიტება და ემსახუროს მას.

ღმერთმა იგი იმიტომ დაჰბადა, რომ თავის მარადიულ სიკეთეთა თანაზიარად გაეხადა და ის ნეტარებები განეცადა, რაც უფალს აქვს. ადამიანი ხილული სამყაროს მეფე უნდა ყოფილიყო და, ღმერთს მიმსგავსებულს, სიბრძნითა და სიყვარულით განეგო იგი.

ჩვენს პირველმშობლებს მთელი თავისი ნებელობა უფლისკენ ჰქონდათ მიმართული და სრულად ღვთისას იზრახავდნენ. ამასთან, მათი სული სულ უფრო მეტად განიმტკიცებდა საღვთო ბუნების თვისებებს – სათნოებებს და ხარობდა ამით.

როგორც ცნობილია, შემდგომ ბოროტმა ძალამ მოატყუა ისინი, როცა უთხრა: შემოქმედი იმიტომ გიკრძალავთ ხე-ცნობადისას ნაყოფის ჭამას, რომ მისებრ ღმერთი არ გახდეთო.

სინამდვილეში კი, ჩვენი განღმრთობა სწორედ უფლის ჩანაფიქრი იყო, მაგრამ ამისთვის ადამი და ევა თანდათან უნდა მომზადებულიყვნენ და უფლის მორჩილებით ასულიყვნენ სრულყოფის კიბეზე.

ისინი კი, ჯერ კიდევ სულიერად მოუმწიფებელნი, შეეცადნენ, გატოლებოდნენ მას, ვინც დაჰბადა ისინი

და ყველაფერი უშურველად მისცა; თანაც ამის მიღწევა მათ ღმერთისგან განდგომით მოინდომეს და მისი ნების წინააღმდეგ წავიდნენ. ვერ დააფასეს უფლისგან ბოძებული, თვით ანგელოზებზე აღმატებული პატივი, უხილავი ღმერთის თანაშემწეობაზე უარი თქვეს და მოინდომეს ღმერთად გახდომა.

ცოდვამ აამღვრია და დაასნებოვნა ადამის და ევას შინაგანი სამყარო, რასაც თავისთავად მოჰყვა შესაბამისი შედეგი: სიცოცხლის ნაცვლად მიიღეს სიკვდილი; ნეტარების ნაცვლად – ტანჯვა და მწუხარება, ძლიერების ნაცვლად – უძლურება... და ერთბაშად დაკარგეს თვითმფლობელობაც და საღვთო ხელმწიფებაც; მათი მორჩილი სტიქიონებიც და ცოცხალი არსებებიც მტრად გაუხდნენ და მარტონი დარჩნენ გარემო სივრცის პირისპირ.

ეს უმძიმესი ცვლილება კი მოხდა იმიტომ, რომ მათი გული ღმერთს განემორა და შემოქმედის ადგილი ეგოისტურმა „მე“-მ დაიკავა.

ამპარტავნება და ეგოიზმი არის უფლისგან განდგომილი ადამიანის მკვეთრი მახასიათებელი. დაცემის შემდეგ ჩვენს პირველშობლებში თავდაპირველად სწორედ ეს მიდრეკილებები გაჩნდა და მათი პირადი ურთიერთობებიც მყისიერად დაამახინჯა, – ერთმანეთზე და გარემოზე ზრუნვა, ღმერთზე მინდობა საკუთარ თავზე მინდობამ და ეგოცენტრიზმა შეცვალა.

ბოროტი ძალისგან თავსმოხვეული ეს მანკიერება დღემდე ჩვენს მთავარ პრობლემას წარმოადგენს და ამიტომაც არის, რომ, როგორც ერთი ღვთისმეტყველი ამბობს, ჩვენს ცხოვრებაში სიტყვა „მე“ განსაკუთრებულად დომინირებს.

ეგოისტის ბუნება ისეთია, რომ იგი შეჭხარის თავის თავს, მოსწონს თავის თავში არსებული ნიჭები, რასაც საკუთარ დამსახურებად მიიჩნევს და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ყველგან და ყოველთვის ცდილობს საკუთარი თავის წარმოჩენას, ღმერთი კი დავიწყებული ჰყავს, ან მექანიკურად ახსენებს მის სახელს.

ჩვენ უნდა გავითავისოთ, რომ თუ რაიმე ნიჭი და უნარი გვაქვს, უფლის მიერაა ბოძებული, ჩვენია მხოლოდ პირადი

ნება, რომელიც სწორად უნდა წარვმართოთ. ამასთან, ჩვენი მოწოდებაა, ვიყოთ მოყვასის მსახურნი უფლისკენ სვლაში. იესო ქრისტეც მსახურებისთვის მოვიდა ამქვეყნად და ჩვენც ეს მისია დაგვაკისრა. ასე რომ, ნებისმიერი სხვა ადამიანისადმი ჩვენი ერთგულება, სიყვარული და თავდადება არის ჩვენი გადამრჩენელი, ღმერთამდე ჩვენი მიმყვანებელი.

ამიტომაც, სხვა მცნებებთან ერთად, უნდა აღვასრულოთ ერთ-ერთი ყველაზე უპირატესი სწავლება უფლისა, – „შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი“ და უმეტესი ამისა, ახალი მცნება ახალი აღთქმისა, რომელიც მაცხოვრისაგან ასეთი სახით მოგვცა: „ახალ მცნებას გამლევთ თქვენ, ... როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე თქვენც გიყვარდეთ ერთმანეთი“ (იოანე 13.34).

მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენი პირადი უდიდესი სასწაულის აღსრულებას, – გულიდან ეგოიზმის გამეყვებას და მასში უფლის დავანებას, მხოლოდ ამ საშუალებით მოვიპოვებთ ზეცის მოქალაქეობას.

„მე ვარ კარი, ჩემს მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხოვდეს“ (იოანე 10,9) – გვასწავლის იესო ქრისტე.

* * *

დაცემული ადამიანის თვისებაა სიკვდილის შიშიც. ამიტომაც ეძებდა და კვლავაც ეძებს იგი სიცოცხლის გახანგრძლივების გზებს, იგონებს სხვადასხვა მეთოდს, რომ შეიქმნას კეთილდღეობის ილუზია, მაგრამ ამაოდ.

ეს ყოველივე უფრო დიდი შეცდომების მიზეზი ხდება და აღრმავებს ჩვენში ისედაც არსებულ სულიერ კრიზისს.

ასეთი პიროვნება ვერ აცნობიერებს, რომ სიკვდილის შიში სინამდვილეში ცოდვებიდან მომდინარეობს, რომ ცოდვას დამონებული სული გაუცნობიერებლად უფროსის ღმერთთან შეხვედრას და ამიტომაც ძრწის; მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მანკიერებებს განეშოროს და სული განიწმინდოს, ხშირად ნიჰილიზმში ვარდება და ათეიზმს აფარებს თავს (თუმცა ურწმუნოების მიზეზი სხვაც არაერთია).

ასეთი ადამიანებისთვის ცხოვრება პერიოდია დაბადებიდან სიკვდილამდე და სიკვდილთან ერთად

მათთვის მთავრდება ყველაფერი. ამიტომაც მიაჩნიათ, რომ ბოროტება, სიკეთე, ფარისევლობა, ერთგულება, შური, სიყვარული, უზნეობა... ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობებია და რაიმე პასუხისმგებლობას არც კონკრეტული პიროვნების და არც ღვთის წინაშე არ გრძობენ, რადგან არ სწამთ იმქვეყნიური ცხოვრების, არ სწამთ მარადიული ფასეულობების.

* * *

დღეს ქრისტე იშვება დედამიწაზე, საოცარი თავმდაბლობითა და უბრალოებით, და მოაქვს სიცოცხლის ნათელი მათთვის, ვისაც სწამს, რომ ღვთის ხატადაა შექმნილი და ესწრაფვის ცხოვნებას.

ჩვენ ვსაუბრობთ იმ რწმენაზე, რომელიც, ადამიდან მოყოლებული, გადაეცემოდა თაობიდან თაობას პირველ მამათა, მამათმთავართა, წინასწარმეტყველთა, მართალთა... მიერ და გვასწავლიდა, რომ არ ვართ შემთხვევითი არსებები, რომ არ ვართ სიკვდილისთვის გაჩენილნი, არამედ – მარადიული ნეტარებისა და ღმერთთან მყოფობისათვის მოწოდებულნი.

უფალს ელოდა სიწმინდით, სიმართლით და სიყვარულით მცხოვრები ჭეშმარიტი სიბრძნისა და სიმართლის მამიებელი, ყოველი ადამიანი. იგი იყო „მოლოდება წარმართთა“ (დაბადება: 49. 10).

წარმართთა შორის ღრმად მოაზროვნენ გრძნობდნენ სულიერ შიმშილს, მათ არ აკმაყოფილებდათ ადამიანთა მიერ შეთხზული გადმოცემები სხვადასხვა „ღმერთზე“, გრძნობდნენ მათ სიყალბეს და ელოდნენ ჭეშმარიტს, ნამდვილსა და აღმატებულს.

ასე იყო საქართველოშიც. ქრისტიანობის შემოსვლისთანავე ქართველთა მრავლესობამ უარყო წარმართობა და სიხარულით მიეგება ზეციდან უწყებულ სახარებას. ეს იყო ქართველთა ცივილიზაციური მტკიცე არჩევანი, რომელიც ეროვნული ცნობიერების ნიშანსვეტად იქცა.

ქრისტე მოგვევლინა ჩვენი სხეულით, ჩვენი ბუნებით და გახდა ჩვენი ცხოვრების მტვირთველი (გარდა ცოდვისა); უჟამო იგი ჟამიერ იქმნა, უხორცო

– ხორციელი, უკვდავი – მოკვდავი, რათა მსგავსებით მსგავსი გადაერჩინა და თითოეული ჩვენგანისათვის ეთქვა: მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი ხატება არ არის შენში ბოლომდე წარხოცილი; ჩემი შესაძლებლობები შენი შესაძლებლობებიცაა და შენთან ერთად მზად ვარ, მონაწილეობა მივიღო შენს ფერისცვალებაში, შენს გადარჩენაში.

მას ჩვენს რეალობაში შემოაქვს სამოთხის კანონები, – მცნებები, ზეცის მოქალაქეთა თვისებები, რათა გავაცნობიეროთ ცოდვა ჩვენს ყოფაში და სინანულით აღვზოცოთ იგი, ამით განვაქარვოთ ჩვენი სიკვდილი და გარდაცვალება მარადიული ნეტარყოფობის საწყისად ვაქციოთ.

ჩვენ უნდა ვუკვირდებოდეთ ჩვენს სიტყვასა და საქმეს, სინდისის ხმას, საზოგადოებასთან თანაცხოვრებას, საღვთო წიგნებში განცხადებულ ღვთის სიბრძნეს და ბეთლემს შობილი მაცხოვრის მიერ დაარსებული ეკლესიისა და აქ აღსრულებულ საიდუმლოთა მადლით უფლის აღდგომისა და ამაღლების თანაზიარნი გავხდეთ.

„ქრისტიანობა რჩეულთა ხვედრია: თქვენ კი რჩეულთა მოდგმა ხართ, სამეუფო სამღვდლო, წმინდა ერი, წილხვედრი ხალხი, რათა გამოაცხადოთ მისი სათნოებანი, ვინც სიბნელიდან თვისი საკვირველი ნათლისკენ გიხმოთ“ (I პეტრე, 2,9).

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით, ღმერთმა შეგვინდოს შეცოდებანნი ჩვენნი და შეგვაძლებინოს, პეტრე მოციქულის ეს სიტყვები ჩვენს ერზე, თითოეულ თქვენგანზე და ჭეშმარიტების გზით მავალ ყველა ადამიანზე გაცხადდეს.

კურთხეულია უფლის შობის დიადი საიდუმლოს მხილველი და აღმქმელი თქვენი სულიერი თვალი.

კურთხეულია ბეთლემის სასწაულის სულიერად განმცდელი თქვენი გული.

კურთხეულია თქვენი სასმენელნი, რომელთაც დღესაც ახარებს ანგელოზთა საგალობლის ხმა: „დიდება მადლთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

ამ დიდი ძალისა და სიღრმის მქონე ზეციურმა სიტყვებმა, დაე, მოიცვას და ღმერთში გააერთიანოს სრულიად საქართველო, უცხოეთში მყოფი თანამემამულენი და ყოველი კეთილი ნების ადამიანი, რათა მოგვებთან და მწყემსებთან ერთად გავემართოთ ბეთლემისაკენ, ანთებული სანთლებით მივეახლოთ ყრმა იესოს და კრძალვითა და სიხარულით აღმოვთქვათ: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ... ღმერთი ჩემი ხარ შენ, და აღგამაღლო შენ; ღმერთი ჩემი ხარ შენ, აღგიარო შენ; აღგიარო შენ, რამეთუ ისმინე ჩემი და იქმენ ჩემდა მაცხოვარ“ (ფსალმუნნი 117,23,29).

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი,

შობა ქრისტესი

2024-2025 წწ.

ლევან ბრეგაძე

ისტორიული მინიატურები

ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ისტორიის“ საერთაშორისო მნიშვნელობა სრულიად აშკარაა. იგი საუცხოო წყაროა სპარსეთ-საბერძნეთის დაძაბული ურთიერთობის და ამათ ურთიერთობაში საქართველოს ჩართულობის შესასწავლად. კერძოდ, თხზულებაში მკაფიოდ არის წარმოჩენილი საქართველოს როლი მე-5 საუკუნის ამ უმთავრესი მსოფლიო-ისტორიული მოვლენის, სპარსეთ-საბერძნეთის კონფლიქტის, მიმდინარეობის პროცესში.

თხზულების მიხედვით, ვახტანგ გორგასალი გონებამახვილი ადამიანი და ჩინებული დიპლომატია. აღსანიშნავია ერთი პიროვნული შტრიხი, რომელიც ჯუანშერის მიერ დახატულ ვახტანგ გორგასლის სულიერ პორტრეტს შთაბეჭდაობას სძენს: მან იცის სიტყვის ძალა – სიტყვა მისი სანდო იარაღია ადამიანებთან ურთიერთობისას თუ ვითარების დახასიათების დროს. ამით ჯუანშერის თხზულება პლუტარქეს ნაშრომებს ემსგავსება (მოგეხსენებათ, პლუტარქეს წიგნები იმით არის ძვირფასი, რომ ისტორიული მოვლენების გადმოცემასთან ერთად ამ მოვლენათა პროტაგონისტების მახვილგონივრულ რეპლიკებსა და მათთან დაკავშირებულ ანეკდოტურ ამბებსაც უხვად შეიცავს).

ჯუანშერის თხზულებაში დრამატიზმის მთავარი წყაროა ვახტანგ გორგასლის დამოკიდებულება სპარსეთისა და საბერძნეთისადმი. სპარსეთთან იგი ნათესაურად, სისხლით არის დაკავშირებული, საბერძნეთთან – სარწმუნოებით, რაც განაპირობებს მისი მდგომარეობის სირთულეს დამისი ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულსაც. ორივე ეს ერთმანეთის მოსისხლე მტერი – სპარსეთი და საბერძნეთი – თავგამოდებით ცდილობს ვახტანგის მიმხრობას.

ერთხელაც ვახტანგს შაჰის სურვილს ატყობინებენ: სათავეში ჩაუდექი სპარსთა და ქართველთა გაერთიანებულ ლაშქარს და საბერძნეთი დავარბიოთო. ქართველთა მეფეს ბერძნები თავის იმედად ეგულებოდა, მას კი სთავაზობენ საკუთარი ხელით მოუღოს ბოლო თავის მოკავშირეს, რათა შემდეგ პირისპირ შერჩეს სპარსეთს.

ამის გამგონე ვახტანგი თავის მდგომარეობას ასეთი ხატოვანი ფორმულით ახასიათებს:

„ამისთვის თქვიან, მჭედელო, გამახუე მახვილი შენი, რათა მსწრაფლ განეწონოს ასოთა შენთა“. თანამედროვე ქართულით ეს ასე იქნება: „მჭედელო, გალესე შენი მახვილი, რათა [მან] სწრაფად (იოლად) გაკვეთოს შენივე სხეულის ნაწილები“.

ასე სხარტად დაახასიათა ვახტანგმა შექმნილი ვითარება, ვიდრე შაჰს ამ შემოთავაზებაზე უარს შეუთვლიდა.

* * *

სხვა დროს ვახტანგი სპარსელებმა ბერძენთა წინააღმდეგ საომრად დაიყოლიეს, თუმცა მან მოკავშირის ზურგს უკან სეპარატული მოლაპარაკება გამართა ერთმორწმუნე ბერძენთა კეისართან და დაუმეგობრდა კიდეც მას. ოღონდ კეისარმა მეტისმეტი მოინდომა ვახტანგისაგან, – მოსთხოვა გავაერთიანოთ ჩვენი მხედრობა და სპარსელები, რომლებიც შენთან იმყოფებიან, გავუყოთო. ეს დიდი ვერაგობა იქნებოდა რაინდი მეფის მხრივ, მაგრამ ცივი უარიც არ შეიძლებოდა. ვახტანგმა კეისარს ასეთი პასუხი შეუთვალა:

„რომელი არა შუენის შენსა ღმრთისმოყუარებასა, რომელი შენ არა ჰყო, სხუასა ნუ აწუევ, რამეთუ ღადრობა (დაუნდობლობა. – ლ. ბ.) არა ხელ არს კაცთა პატიოსანთა. დაღათუ აწ შენ მიგცნე სპარსნი, არა უკუე განცრუვდესა სახელი ჩემი?“

ჩინებული პასუხია: ღვთისმოყვარე კაცი ხარ და აბა შენი თავი ჩააყენე ჩემს მდგომარეობაში, შენ თუ ჩაიდენდი იმას, რის გაკეთებასაც მე მთავაზობო! მე რომ ასეთი რამ მოვიმოქმედო, რაღა პატივი უნდა მცეს თქვენისთანა ღვთისნიერმა ადამიანმაო!

ვახტანგ გორგასლის ეს დიპლომატიური პასუხი, ოპტიმალური გამოსავალი მძიმე ვითარებიდან, ამშვენებს მსოფლიოს ისტორიას! ხოლო ვახტანგის ეს სამშვიდობო ინიციატივა, მეტიც – მის მიერ იძულება კეისრისა, მშვიდობიანი გამოსავალი ეძებნა შექმნილი ვითარებიდან, მსოფლიო ისტორიის სამაგალითო ეპიზოდია, წარმატებით დაგვირგვინებული სამშვიდობო საშუაშვლო მისიის ჩინებული ნიმუში, კონფლიქტების მოგვარების ტრენინგებზე განსახილავი მაგალითი.

„რომელი შენ არა ჰყო, სხუასა ნუ აწუევ“, – ვახტანგის მიერ ერთობ დროულად დამოწმებული ეს ძველისძველი შეგონება, ოდნავ განსხვავებული შინაარსით, სახარებაშიც გვხვდება („როგორც თქვენ გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექცით მათ“. – ლუკა 6, 31), ხოლო შემდეგ საფუძვლად დაედო იმანულ კანტის ეთიკას, როგორც კატეგორიული იმპერატივი.

* * *

განსაცვიფრებელი სიტყვები მოძებნა მეფემ ერთ მეტისმეტად უხერხულ ვითარებაში კეისრის სანუგეშებლად, როდესაც გაუგებრობის შედეგად მის მხედრობასა და ბერძნებს შორის შეტაკება მოხდა (სადაც გამარჯვება ვახტანგის ხალხს დარჩა):

„ამისთვის ყო ესე ღმერთმან, რათა ახალწერგნი ესე მოიყვანეს სარწმუნოებად შიშსა მისსა, ვითარცა იგი უძღებისა შვილისათვის ყო საქმე განსაცხრომელი. ხოლო თქუენ პირმშონი შვილნი ხართ ღმრთისანი, და მარადის მისნი ხართ“.

სახარების ცნობილი იგავის („უძღვები შვილის“) გამოყენებით ვახტანგი ნუგეშისცემის შედეგს ქმნის! კერძოდ: მართალია, თქვენთან სამწუხარო გაუგებრობის შედეგად მომხდარ კონფლიქტში ღმერთმა გამარჯვება ჩვენ გვარგუნა, მაგრამ ეს იმისთვის ინება, რომ ღვთის რწმენა განემტკიცებინა ჩვენში, – ანუ პატივი ჩვენ, ქრისტიანებად ყოფნის თქვენზე ნაკლები სტაჟის მქონე, თქვენზე ნაკლებმორწმუნე უძღვები შვილებს გვცა, თქვენ კი, – რა გიჭირთ, მისი პირმშონი (პირველი შვილი) ხართ, ისედაც სულ მასთან იმყოფებით!

ეს სახიფათო ნუგეშისცემაა. ადვილი შესაძლებელია, იგი ადრესატს ცინიზმად მიეღო, და თუ ასე არ მოხდა, ალბათ იმიტომ, რომ კეისარს ძალიან ესაჭიროებოდა ქართველების მხარში დგომა.

„თითქოს საკუთარ ცხედარს მივყვები“

იოვანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ერთი ასეთი პასაჟია: ქრისტეს რჯულზე მტკიცედ მდგარი აბო „ჭკუაზე მოსაყვანად“ უკანასკნელად უნდა მიჰგვარონ საპყრობილედან არაბ ამირას. ხელ-ფეხზე ბორკილდადებული ტყვე შუა ქალაქში გაატარეს ყველას დასანახად. ნაცნობები ცრემლად იღვრებიან მისი შემხედვარე, ხოლო თვითონ აბო „მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ხედვიდა თვისსა მას გუამსა; და სულითა თვისითა მოგზაურ ქმნული თვით იტყოდა ფსალმუნსა ამას ას და მეათრვამეტესა...“

ამ პასაჟის გამო გრივერ ფარულავა წერს: „ჩვენ წინაშეა დახვეწილი პოეტური სახე სასიკვდილო ემაფოტზე მიმავალი კაცის სულის მოძრაობისა (...). მოწამის სულში მთელი არსების შემძვრელი ზმანება დაბორიალობს: იგი ისე მიდიოდა, როგორც ვინმე მიაცილებს სამგლოვიარო პროცესიას, ასევე „ჰხედვიდა თვისსა მას გუამსა“. და ასე, საკუთარი გვამის სულიერ თანამგზავრად „ქმნული თვით იტყოდა ფსალმუნსა“. ეს არის პოეტური ნათელმხილველობის იშვიათი ნიმუში არა მხოლოდ ქართული მწერლობის მასშტაბით“.

გრივერ ფარულავას ამ დაკვირვებას გამოეხმაურა აკაკი გაწერელია:

„აბო წინასწარ ხედავს საკუთარ ცხედარს და მისი, ცოცხალის, სული ლოცულობს თავისსავე გვამზე, რომელსაც ეს-ესაა ფერფლად აქცევენ. ახალგაზრდა მკვლევარის ეს მიგნება მთელ გამოკვლევად ღირს. ამას ვაცხადებთ სრული პასუხისმგებლობით. ჩვენ არ ვიცით არც ერთი (ვიმეორებთ – არც ერთი!) პასაჟი თვით სტერნთან, თომას მანთან ან ჯოისთან, რომელიც მოტანილი ეპიზოდის მსგავსი ფსიქოლოგიური სიღრმით გადმოსცემდეს პერსონაჟის ცნობიერების ირრაცინალურ ვითარებას. ეს – მხატვრული აბსტრაქციის უკიდურესი ზღვარია, ესთეტიკურად გამაოგნებელი“ („ლიტერატურული საქართველო“, 10.10.1969).

ახლა მე-20 საუკუნეში დაწერილ ერთ წიგნში ჩავიხედოთ.

ნაცისტების მიერ დევნილი, ემიგრაციაში მყოფი შტეფან ცვაიგი თავის უკიდურეს სულიერ შეჭირვებაზე მოგვითხრობს მემუარების წიგნში „გუშინდელი მხოფლიო“. თავისი დროის ერთ-ერთი უპოპულარულესი, სვებედნიერი მწერალი ერთბაშად კარგავს ყველაფერს, რაც მისთვის ასე ძვირფასი იყო – სახლ-კარს, სამშობლოს, მეგობრებს... განადგურებულია მისი წიგნების მილიონობით ეგზემპლარი; შტეფან ცვაიგის ნაწარმოებების გამოცემა აკრძალულია არა მარტო მის მშობლიურ ავსტრიასა და გერმანიაში, არამედ საფრანგეთშიც, იტალიაშიც, ბევრ სხვა ქვეყანაშიც, სადაც მას ცოტა ხნის წინ უამრავი მკითხველი და თაყვანისმცემელი ჰყავდა. თუ პრესაში რამე იწერება მასზე, მხოლოდ და მხოლოდ ლანძღვა-გინება... და როცა იგი ყოველივე ამას გვიამბობს, ასე გვიხატავს თავის სულიერ მდგომარეობას: „დღეს მე, ვითარცა მწერალი, იმ ადამიანს ვგავარ, რომელიც, როგორც ჩვენი გრილპარცერი ამბობდა, „ცოცხლად მიაცილებს თავის საკუთარ ცხედარს“ („...lebens hinter seiner eigenen Leiche geht“).

სახეთუხილვა, ასერომდამახსოვრებია შტეფან ცვაიგს და შემდეგ თავისი უმძიმესი სულიერი მდგომარეობის დასახასიათებლად გამოუყენებია თვითმკვლელობამდე

ცოტა ხნით ადრე დაწერილ მემუარებში, ზუსტად ის არაჩვეულებრივი ირაციონალური სახეა, რომელიც იოვანე საბანისძეს თავისი პერსონაჟის სულიერი მდგომარეობას გადმოსაცემად გამოუყენებია ფრანც გრილპარცერზე (1791-1872) ათი საუკუნით ადრე!

ივანე ამირხანაშვილმა გამოჩენილი ამერიკელი მწერლის, სამეცნიერო ფანტისტიკისა და ფენტეზის ჟანრის საქვეყნოდ ცნობილი თხზულებების ავტორის რეი ბრედბერის (1920-2012) მოთხრობაში „კალეიდოსკოპი“ მიაგნო ზუსტად იმავე ფანტასტიკურ სახეს, რომელიც მე-8 საუკუნის ქართველ მწერალთან გვხვდება:

„ორბიტაზე რაკეტა ფეთქდება და კოსმონავტები ღია სივრცეში გაიფანტებიან. ავტორი აღწერს ერთ-ერთი განწირულის – ჰოლისის განცდებს და წერს: „ის თითქოს განუდგა საკუთარ სხეულს და გვერდიდან შეჰყურებდა, როგორც უცხო საგანს“. ზღვრულ სიტუაციაში მყოფი ადამიანის თვითობიექტივაციის ზუსტად იგივე ფიგურა თორმეტი საუკუნით ადრე აქვს გამოყენებული იოანე საბანისძეს“ („სჯანი“ 12, 2011, გვ. 9).

რაოდენ თანამედროვედ ჟღერს იოვანე საბანისძის მიერ პერსონაჟის განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად გამოყენებული ეს მხატვრული სახე ნათლად შევიგრძნობთ, როდესაც ტერენტი გრანელის ამ ლექსს წავიკითხავთ:

„წუხელ სიზმარში მიმიძლოდა ჩემი ცხედარი,
და მივდიოდი, მივკიოდი საშიშ ქარიშხალს.
ზარი რეკავდა: სამარადოდ იყავ ნეტარი!
წუხელ ანაზღად უკუნეთმა თავი აიშვა.

.....

წუხელ სიზმარში მიმიძლოდა ჩემი ცხედარი“.

და მე-20 საუკუნის კიდევ ერთი დიდი ქართველი პოეტის ნიკო სამადაშვილის ლექსის „ჩემი პორტრეტი“ ერთი სტროფით დავამთავროთ ეს მიმოხილვა:

„ბოლმა კვამლივით მედება ყელზედ,
ირგვლივ რიყეა, უდაბნოს ქვები.
ისე დავდივარ ამ ქვეყანაზე
თითქოს საკუთარ ცხედარს მივყვები“.

იოვანე მთაწმინდელის ორი ხუმრობა

1.

მართალია, ხუმრობა და ლაღობა იკრძალებოდა მონასტრებშიც და სასულიერო ლიტერატურაშიც (ამ მოვლენას ეძღვნება უმბერტო ეკოს სახელგანთქმული რომანი „ვარდის სახელი“), მაგრამ იუმორი იმდენად ადამიანური მოვლენაა, რომ ზოგჯერ, ერთობ იშვიათად, მაგრამ მაინც, წმინდანებიც ხუმრობენ.

გიორგი მთაწმინდელის (ათონელის) „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ ასეთი ამბავია მოთხრობილი: ათონის ივერთა მონასტერში იოვანეს წინამძღვრობისას ერთ ზაფხულს არნახული გვალვა ყოფილა – ოთხ თვეს – მაისს, ივნისს, ივლისს, აგვისტოს – უწყიმრად ჩაუვლია. დიდი გასაჭირი დასდგომია ქვეყანას, ხეს ფოთოლი აღარ შერჩენია სიცხისაგან.

ქართველთა მონასტრის მახლობლად ელია წინასწარმეტყველის სახელზე აგებული ეკლესია ყოფილა და როცა ამ წმინდანის დღესასწაული დამდგარა, იოვანეს უბრძანებია თავისი შვილის ეფთვიმესათვის, წაძლოლოდა ბერებს წმინდა ელიას ეკლესიაში და ღამისთევით ელოცათ, იქნებ გაწვიმებულიყო (როგორც ძველი აღთქმიდან ვიცით, ელია წინასწარმეტყველს წვიმის მოვლინება ძალუძს).

ამის შემდეგ ვკითხულობთ:

„და ოდეს ამას უბრძანებდა, მრავალნი ძმანი შეკრებულ იყვნეს წინაშე მამისა იოვანესსა და რეცა განცხრომის სახედ უბრძანა, ვითა: „ყრმანო, საწვიმრები უკუანა წაიღეთ, რამეთუ ვესავ ღმერთსა, რომელ არა შევიქცეთ ამაოდ“.

„რეცა განცხრომის სახედ უბრძანა“-ო.

„განცხრომა“ ძველად გართობას, მხიარულებას, ხუმრობას ნიშნავდა, „რეცა“ თანამედროვე ქართულით არის „თითქოს“ (საბას განმარტებით – „ვითამსავით“), „სახედ“ იგივეა, რაც „მსგავსად“, ხოლო „უბრძანა“ აქ ნიშნავს „უთხრა“-ს.

„რეცა განცხრომის სახედ“ ლაღობით რაიმეს თქმას ან გაკეთებას ნიშნავს და თანამედროვე ქართულში მას ერთი სიტყვა შეესაბამება – „ხუმრობით“.

იოვანეს ხუმრობის აზრი – საწვიმრები წაიღეთ თანო – ის გახლავთ, რომ ოთხი თვეა ცვარი არ ჩამოვარდნილა

ციდან და ასეთ ვითარებაში თადარიგის დაჭერა იმის გამო, ვაითუ გზაში წვიმამ მოგვისწროს და გავილუმპოთო, ზედმეტ პედანტობად ან უსაფუძვლო ოპტიმიზმად მოჩანს.

ეს ერთი.

გარდა ამისა, სახუმარო განწყობას იმის შეგნებაც აძლიერებს, რომ ამ უსაშველო გვალვის შემდეგ ოღონდ კი გაწვიმდეს და გაწუწვას ვინღა დაეძებს!

მართლაც გაწვიმებულია და ვინც საწვიმარი წაიღო, „მოლხინებით შთამოვიდეს მონასტრად“, ვინც არ წაიღო – „შრომით და ჭირით“, მაგრამ „ორნივე ჰმადლობდეს ღმერთსა და ნეტარსა მამასა იოვანეს“ გაავდრებისთვის.

დიდი მწერლური ოსტატობით შესრულებული ეპიზოდია! ათი საუკუნის წინანდელ მეტეოროლოგიურ ანომალიასთან დაკავშირებული ეს ამბავი – ბერების სალოცავად წასვლისა და თავსხმა წვიმაში მათი უკან დაბრუნების შთამბეჭდავი სურათები – ნათლად წარმოგვიდგება თვალწინ. ამ შთამბეჭდაობას რომ იოვანე ათონელის ხუმრობის გიორგი მთაწმიდლისეული გადმოცემაც მნიშვნელოვნად განაპირობებს, ესეც საკვებით ცხადია.

2.

XI საუკუნის შუა წლებია. ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე, ფართო მასშტაბის კულტურული საქმიანობა გაუჩაღებიათ ქართველ ბერებს იქაურ მონასტრებში. სამშობლოს მოცილებული ეს ადამიანები, მართალია, ანტიოქიის საპატრიარქოს ტერიტორიაზე მოღვაწეობდნენ, მაგრამ არ მორჩილებდნენ ანტიოქიის პატრიარქს, რადგან ქართული ეკლესია დამოუკიდებელი, თავისთავადი, ანუ ავტოკეფალიური იყო. ანტიოქიის პარტიარქის პეტრეს გარდაცვალების შემდეგ საპატრიარქო საყდარი თეოდოსიმ დაიპყრო, „კაცმან მაღალმან და ფილოსოფოსმან“, – ასე ახასიათებს მას გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი, თხზულებაში „ცხოვრებაი და მოქალაქეობაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაი“.

აი ამ თეოდოსის პატრიარქობისას მოინდომეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მისი დამორჩილება ანტიოქიის საპატრიარქოსადმი, აქაოდა,

„მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა“, ე.ი., ქრისტეს მოწაფეთაგან მათ ქვეყანაში, საქართველოში, ქრისტიანობა არც ერთს არ უქადაგია და ჭემმარიტი სარწმუნოების უმეცარნი არიანო.

ამგვარად, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა ბევრად უფრო ძლიერი ანტიოქიის საპატრიარქოს მხრივ, რომლის მრევლი თავის დროზე პეტრე მოციქულს მოუქცევია.

თუკი ამ ვითარებაში ქართველთა შორის არ აღმოჩნდებოდა დიდად განათლებული და გონიერი პიროვნება, ღრმად მცოდნე ღვთისმეტყველებისა და ისტორიისა, რიტორიკისა და ბერძნული ენისა, ადვილი შესაძლებელია, ქართული ეკლესია დამოუკიდებლობას გამოთხოვებოდა კიდევ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირობას ჩინებულად აკმაყოფილებდა გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც ეს საფრთხე ელევანტურად ააცილა ჩვენს ეკლესიას.

გიორგი მთაწმინდელმა პატრიარქ თეოდოსის თანდასწრებით გამართულ საჯარო დისპუტზე დოკუმენტურად დაუმტკიცა მოწინააღმდეგეთ, რომ ქართველები ანდრია მოციქულის მოქცეულნი იყვნენ (ანდრია მძა იყო პეტრესი. პეტრე ანდრიამ დაუმოწაფა ქრისტეს, – ასეა იოანეს სახარების მიხედვით. ეს დავიმახსოვროთ; ამ გარემოებას მნიშვნელობა აქვს მოვლენათა შემდგომი განვითარებისთვის). გიორგიმ ისიც შეახსენა პატრიარქს, რომ ერთ-ერთი მოციქული – სიმონ კანანელი – საქართველოში იყო დაკრძალული, თანაც დაასაბუთა, რომ ქართველები მტკიცედ იდგნენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე და არასოდეს განდგომიან მას, ამიტომ სავსებით ღირსნი იყვნენ დამოუკიდებლობისა.

მაგრამ იკმარებდა ეს ყოველივე? ვინ იცის, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა მძლავრი პატრიარქი, – აიღებდა ამის შემდეგ ხელს თავის პრეტენზიებზე?

და აქ დიდმა საეკლესიო მოღვაწემ, დიდმა მწერალმა და მწიგნობარმა, დიდმა პატრიოტმა და, როგორც ახლა ვნახავთ, ნიჭიერმა დიპლომატმა, ამჟამად გავრცელებული გამოთქმა რომ ვიხმართ, ადამიანურ ფაქტორსაც მიმართა – ანტიოქიის პატრიარქის გულის საბოლოოდ

მოგების მიზნით მან თავს მახვილგონივრული ხუმრობის უფლება მისცა:

„და, რეცა განცხრომით, ჰრქუა პატრეაქსა: „წმიდაო მეუფეო, შუენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრეას, და რათა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ!“

როგორც ვხედავთ, გიორგი მთაწმინდელმა გაღმა შედავება სცადა – ცხადია, ხუმრობით! („რეცა განცხრომით“ ძველქართულად იგივეა, რაც „ხუმრობით“, ეს გამოთქმა წინა ეპიზოდშიც შეგვხვდა).

მოდით, კარგად გავერკვეთ, რას ეუბნება იგი პატრიარქს:

რაკი პეტრე (ვისი სამოციქულო ეკლესიაც არის თქვენი ეკლესია) უფალს მისმა ძმამ ანდრია მოციქულმა დაუმოწაფა, ამიტომ მართებული იქნება, თუ დამოწაფებული (პეტრე) თავის დამმოწაფებელს (ანდრიას) დაემორჩილება და, შესაბამისად, ისიც უფრო მართებული იქნება, თქვენ (პეტრეს სამოციქულო ეკლესია) ჩვენ (ანდრიას სამოციქულო ეკლესიას) დაგვემორჩილოთო.

ეს გახლავთ ერთ-ერთი უშესანიშნავესი, იუმორით შეფერილი რეპლიკათაგანი ქართული დიპლომატიის ისტორიაში. ხუმრობა იმაზეა დამყარებული, რომ არაარსებითი მომენტის არსებით მომენტზე წინ დაყენების მოთხოვნას შეიცავს. პეტრეს დამოწაფება რომ მისი ძმის, ანდრიას, მეშვეობით მოხდა, ეს არაარსებითი მომენტია, არსებითი კი ის არის, რომ ორივენი ქრისტეს მოციქულნი იყვნენ, ხოლო კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ, თუმცა პეტრე ანდრიამ დაუმოწაფა მაცხოვარს, მაგრამ პეტრეს ღვაწლი საქრისტიანო სამყაროს წინაშე აღემატება ანდრიას ღვაწლს. და თუ მაინცდამაინც მოციქულთა უფროს-უმცროსობის გარჩევაში შევალთ, მაშინაც უპრიანია ფორმალურ მომენტზე წინ (ვინ ვისი დამოწაფებულია) არსებითი მომენტი დავაყენოთ (ვინ უფრო ღვაწლმოსილია). აშკარად ფორმალური მხარის აშკარად არსებით მხარეზე წინ წამოწევა წარმოადგენს აქ ხუმრობის საფუძველს (ასეთ დროს მით უფრო ეფექტურია

ხუმრობა, რაც უფრო აშკარაა ფორმალური მომენტის ფორმალურობა და არსებითი მომენტის არსებითობა).

გიორგი მთაწმინდელის ამ ხუმრობაზე რეაქციაც ადეკვატური იყო (კარგ მთქმელს კარგი გამგონე შეხვდა!). ტექსტში ვკითხულობთ:

„გ ა ნ ი ლ ი მ ა პატრეაქმან და ჰრქუა მღდელთ-
მოდღუართა მათ და ერსა: „ხედავთ ბერსა ამას, ვითარ
მარტოი ესოდენსა სიმრავლესა გუერევის? ვეკრძალნეთ,
ნუუკუე წინააღმდგომი შეგუემთხვიოს და არა ხოლო
სიტყვით, არამედ საქმით გუამხილოს ძლეულებაი ჩუენი
და დაგვიმრწემნეს...“

(თანამედროვე ქართულით: „გაიღიმა პეტრიარქმა და
უთხრა მღვდელ-მოდღვრებსა და იქ მყოფ ხალხს: „ხედავთ
ამ ბერს, მარტოდმარტო ამდენ ხალხს რომ გვერევა?
ვერიდოთ, რომ საპირისპირო არ დაგვმართოს და მარტო
სიტყვით კი არა, საქმით დაგვანახვოს ჩვენი მარცხი და
დაგვიქვემდებაროს“).

გიორგი მთაწმინდელის ეს ხუმრობა ისტორიული
მნიშვნელობისაა – მას ღირსშესანიშნავი როლი დაეკისრა
ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის გამო
გამართულ დისკუტში.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ორი ქვეტექსტი

ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, „დავით აღმაშენებლის
ისტორიკოსის აზროვნება ფართოა და მსოფლიო-
ისტორიულ ასპარეზს აღწევს, მაგრამ ამასთანავე მისი
აზროვნება ღრმა და ბრძნულია, მისი მსჯელობა თავისი
ზედმიწევნითი თვისებით განმაცვიფრებელია“ (ივ.
ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII,
1977, გვ. 216).

ასევე განმაცვიფრებელია მისი ლიტერატურული
ოსტატობაც.

ვნახოთ ერთი ადგილი დავით აღმაშენებლის
თანამედროვე ამ ანონიმი მემატიანის თხზულებიდან,
რომელიც უწინარეს ყოვლისა ძალზე მეტყველი
შედარებებით იქცევს ყურადღებას. მეფე დავითს თურმე
ზოგიერთები საყვედურობდნენ მის მიერ შემოღებული
მკაცრი დისციპლინის გამო. ამ ადამიანთა თვალსაზრისს

მემატიანე ხატოვანი ფორმით გადმოგვცემს. დავითის მოწინააღმდეგენი ბუზღუნებდნენ:

„არცა მშვილდი თავს იდებსო მარადის გარდაცმულობასა, არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხირპულობასა, რამეთუ ჟამსა ხმარებისა მათისასა თითოეული მათი უხმარ იპოვოსო“.

(თანამედროვე ქართულით: „[არათუ კაცის] არც მშვილდის ღარის დატოვება შეიძლება სულ დამბულ [დაჭიმულ] მდგომარეობაში და არც ორღანოს [მუსიკალური საკრავის] სიმისა, თორემ ორივე უვარგისი გახდება“).

დავითის მოწინააღმდეგეთა ამ, ერთი შეხედვით, ეფექტურ არგუმენტს იქვე მოსდევს ლოგიკურად დასაბუთებულ კონტრარგუმენტთა მთელი წყება და ეს სწორუპოვარი პუბლიცისტურ-პოლემიკური პასაჟი ბოლოს ხატოვანი კონტრარგუმენტით გვირგვინდება – ოპონენტთა ხატოვან ანალოგიას მემატიანე თავადაც ხატოვან ანალოგიას უპირისპირებს, რათა არ დაირღვეს ემოციური წონასწორობა:

„ნუ უკუე და ღომსაცა აბრალონ ეგევითართა, რამეთუ არა ციდამტკავლურად იხედავს, არცა კუერნაულად კრთების“.

(თანამედროვე ქართულით: „ეგეთები ღომსაც შარს მოსდებენ, მაიმუნივით რატომ არ გამოიყურები ან კვერნასავით მფრთხალი რატომ არა ხარო“).

აქ ყურადღებას იქცევს ერთი საინტერესო ნიუანსი. მხედველობაში გვაქვს სიტყვა „ციდამტკაველი“, რაც ძველქართულად მაიმუნს ნიშნავს, მაგრამ ამ ორი მცირე საზომი ერთეულის (ციდა და მტკაველი) სახელწოდებისაგან შემდგარ კომპოზიტს თავდაპირველი მნიშვნელობაც შენარჩუნებული აქვს: ციდამტკავლურად ხედვა, ამავე დროს, ქონდრისკაცურად ხედვა; ციდამტკავლურად იხედება ის, ვისაც შეზღუდული გონებრივი ჰორიზონტი აქვს. მოკლედ, ციდამტკავლური ხედვა, თანამედროვე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ობივანტელური თვალთახედვაა.

გარდა ამისა, თითქოს უფრო უპირიანი იყო ღომისთვის მისივე ოჯახის წარმომადგენელი კატა დაეპირისპირებინა

(ჩვეულებრივ ხომ ასე იქცევია მსგავს სიტუაციებში; შდრ. „ვით კატასა, ვხოცდი ლომსა“, „ვეფხისტყაოსნიდან“), მაგრამ არა! მემატიაანემ საგანგებოდ დაუპირისპირა ამ შემთხვევაში ლომს მაიმუნი, რათა სარკასტული ქვეტექსტი შეექმნა: რაკი დავითი ლომს შეადარა, მისი მოწინააღმდეგენი მაიმუნთან გამოდიან შედარებულნი, თუმცა აშკარად ასეთი რამ მათთვის არ უკადრებია, ეს სარკაზმი ქვეტექსტის დონეზე რჩება.

* * *

სხვა ადგილას ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მეფე გამუდმებით ლაშქარს იყო, სწრაფად იცვლიდა ადგილსამყოფელს, ამიტომ მასთან, როგორც უზენაეს მოსამართლესთან, შეხვედრა უჭირდათ „მოჩივართ, დაჭირვებულთ და მიმძლავრებულთ“, ანუ მათ, ვინც მისგან სამართალს ელოდა. როცა გაიგებდნენ, ამა და ამ ადგილას უნდა გაიაროსო, მისგან მეფობრივი განკითხვისა და შეწყვეტის მომლოდინენი მისი ყურადღების მისაქცევად „აღვიდის ბორცუსა რასმე, გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა თუ ხესა, ვითარცა ზაქე“.

ეს ის ზაქეა, რომელზედაც სახარებაშია საუბარი (ლ. 19, 1-10), ტანმორჩილი უფროსი მეზვერეთა, რომელიც ხეზე ავიდა, რათა უკეთ დაენახა ქრისტე.

როცა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებას კითხულობთ, ატყობთ, რომ ეს კაცი დავითს აღმერთებს, მას მეფე ქართველთა განმაახლებლად, მხსნელად, მესიად მიაჩნია, აქილევსი და ალექსანდრე მაკედონელი მასთან ვერ მოვლენო, წერს. გრძნობთ, ერთი სული აქვს, ქრისტე ღმერთს შეადაროს ხელმწიფე, მაგრამ ამას არ აკეთებს – მოკვდავის, თანაც საერო პირის, თუნდაც იგი დავით აღმაშენებელი იყოს, მაცხოვრისთვის შედარება მკრეხელობა იქნებოდა. მაგრამ იმას ვინ დაუშლის, დავითის სანახავად ხეზე ასული ხალხი ქრისტეს სანახავად ხეზე ასულ ზაქეს შეადაროს? ქვეტექსტი ნათელია: თუ დავითის სანახავად ხეზე ასული ხალხი ზაქეს ჰგავს, მაშინ დავითი იმას ჰგავს, ვის სანახავადაც ზაქე ხეზე ავიდა! ქვეტექსტის საშუალებით სასურველი აზრი ისე მიეწოდა მკითხველს, რომ ეტიკეტი არ დარღვეულა. სხვა ფუნქცია ამ შედარებას არა აქვს.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ დავითის ლომთან შედარებით ავტორმა მეფის მოწინააღმდეგენი მაიმუნებად გამოიყვანა, ახლა კი დავითის სანახავად გამოსული ხალხის ზაქესთან შედარებით თვითონ დავითი ქვეტექსტის საშუალებით ქრისტეს შეადარა.

მემატიანე აქ ოსტატურად იყენებს შედარების იმ თავისებურებას, რომლის გამოც მართებულად ამბობენ, ყველა შედარება მოიკოჭლებსო. საქმე ის არის, რომ საგნის, მოვლენისა თუ ფაქტის შედარება სხვა საგანთან, მოვლენასა თუ ფაქტთან ერთი (ან ორიოდ) მსგავსი ნიშნის მიხედვით ხდება, სხვა ნიშნები მათ განსხვავებული აქვთ. მაგრამ განსხვავებული ნიშან-თვისებები შედარებისას ხომ არ ქრება! ეს იწვევს ზოგჯერ ქვეტექსტის ან დამატებითი არასასურველი აზრის გაჩენას მკითხველის ცნობიერებაში. შოთა რუსთველის ტარიელი ასეთ შედარებას იყენებს ხატაელებთან თავისი ბრძოლის ამბის თხრობისას: „შიგან ასრე გავერიე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი“. ამით ის შთამბეჭდავ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ რა დღეში ჩააგდო მოწინააღმდეგენი. მაგრამ, მეორე მხრივ, გნოლი უწყინარი არსებაა, ხატაელები კი პოემაში აგრესიულობით გამოირჩევიან. ამრიგად, შედარების მართებულად აღსაქმელად შედარების საგნის იმ თვისებებისაგან აბსტრაქტირებაა საჭირო, რომლებიც მოცემულ ვითარებაში არარელევანტურნი (არაარსებითნი) არიან, რასაც რეციპიენტი (მხატვრული ქმნილების აღმქმელი) ყოველთვის ვერ ან არ უწევს ანგარიშს.

თუ მართებულია გამოჩენილი რეჟისორის კონსტანტინე სტანისლავსკის ნათქვამი, „შემოქმედების აზრი ქვეტექსტში მდგომარეობსო“, მაშინ აშკარაა: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სახით დიდი მასშტაბის შემოქმედთან გვქონია საქმე.

მემატიანის ემოციები

წინა მინიატურაში ვნახეთ, რა ოსტატურად ეკამათება დავით აღმაშენებლის ანონიმი ისტორიკოსი მეფის პოლიტიკის მოწინააღმდეგეთ, რომელნიც ბუზღუნებენ, ასეთი მკაცრი და დამაბული რეჟიმით ცხოვრება, რაც

დავითის ხელში გვიწევს, რა ცხოვრებააო. ამ ვიწრო-პირადულ ინტერესს ჩვენი მემატიაწე საერთო-საქვეყნო ინტერესს უპირისპირებს. ის ამგვარად აყენებს საკითხს: დავითი რომ ასე არ მოქცეულიყო, როგორ დაიბრუნებდა მტრისგან დაპყრობილ ტერიტორიებს? ნუთუ ძილითა და განცხრომით დაიბრუნებდა? წინარიტორიკულ შეკითხვას ამ მეორე რიტორიკული შეკითხვით უპასუხებს ნიჭიერი პოლემისტი. თუმცა ჯობს თვითონ მას მოვუსმინოთ:

„ნუ უკუე ძილითა ანუ ადგილთა მწვანვილოვანთა ზედა მოსმურობითა (ქეიფით. – ლ. ბ.) და განცხრომითა და მაჩუკნებელთა საქმეთა შედგომითა; არა ესრეთ, არა, არამედ არცა ალექსანდრე ქმნა ესრეთ“.

ამ პასაჟის გამო წერს ვახტანგ ჭელიძე თავის სახელგანთქმულ „ქართლის ცხოვრების ქრონიკებში“:

„არა, ეს ნამდვილად არა ჰგავს ჩვეულებრივ მატიაწეს... ეს სიტყვას ჰგავს, მგზნებარე, საბრაღდებო სიტყვას, სადაც ცოცხალი ემოციები მძლავრობენ... თითქოს კი არ კითხულობ მას, არამედ გესმის“.

მართლაც, ამ პასაჟმა შესანიშნავად შემოგვინახა ჩვენი ანონიმი მემატიაწის, დიდი მწერლისა და მამულიშვილის სულის მოძრაობა. ეტყობა, იგი ღელავს. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ რიტორიკული შეკითხვა დასვა, რაც, როგორც ცნობილია, პასუხს არ მოითხოვს, მაგრამ პასუხიც გასცა: „არა ესრეთ, არა, არამედ არცა ალექსანდრე ქმნა ესრეთ“ (ალექსანდრე მაკედონელის მაგალითს იშველიებს დავითის მკაცრი საშინაო პოლიტიკის გასამართლებლად!). რამდენი „არა“ ისმის ამ მოკლე ფრაზაში! ეს დაჟინებით გამეორებული „არა“-ც სულიერ მღელვარებას ამხელს. მღელვარება კი უთუოდ იმით არის გამოწვეული, რომ პოლემისტი გრძნობს: მათ მხარეს, ვისაც იგი ეკამათება, არის ნაწილობრივი სიმართლე, რასაც იგი თვითონ დიდი სიმართლის პოზიციებიდან უპირისპირდება.

* * *

ახლა ორიოდ სიტყვა ვთქვათ ამ ყაიდის თხზულებათა ესთეტიკის თაობაზე.

სიტყვების მეშვეობით ასახული რეალური ფაქტების შემცველი თხზულების (სხვა სიტყვებით, დოკუმენტური

პროზის, თანამედროვე ტერმინოლოგიით – ნონფიქშენის) ესთეტიკა რამდენიმე ასპექტით განსხვავდება გამონაგონის ესთეტიკისაგან. რეალურად მომხდარი ფაქტის სიტყვების მეშვეობით ისე ასახვა, რომ იგი (ეს ფაქტი) ცოცხლად წარმოუდგეს მკითხველს თვალწინ, სათანადო მწერლურ ოსტატობას მოითხოვს. ეს ოსტატობა გულისხმობს როგორც ენის მაღალ დონეზე ფლობას, ასევე კომპოზიციის ხელოვნებასაც. მაგრამ ესენი ფიქშენის (გამოგონილ ამბებზე შექმნილი ტექსტის) ავტორსაც მოეთხოვება. ფიქშენის ავტორს, გარდა ამისა, მოეთხოვება გამომგონებლობის ნიჭი, შემოქმედებითი ფანტაზიის უნარიც, რაც თითქმის არაფრად არგია დოკუმენტური პროზის მწერალს.

ფაქტის ესთეტიკაზე ყურადღება „ლეფელემა“, მემარცხენე ესთეტიკის წარმომადგენელმა ავტორებმა გაამახვილეს მე-20 საუკუნის 20-იან წლებში (ლეფი [ЛЕФ] აბრევიატურაა 1922 წელს დაარსებული რუს მწერალთა გაერთიანების სახელწოდებისა – Левый фронт искусства – ხელოვნების მემარცხენე ფრონტი).

აქ უნდა გავიხსენოთ რამდენიმე ლიტერატურული ცნება – „სინამდვილის პოეზია“, „დოკუმენტური პოეზია“, „ფაქტის ლიტერატურა“, რომლებიც ასი წლის წინ, მე-20 საუკუნის დამდეგს, გაჩნდა. მეოცე საუკუნის დამდეგს „ფაქტის ლიტერატურამ“ ვერ გაუძლო მოდერნიზმისა და ავანგარდიზმის შემოტევას და მალე მიეცა დავიწყებას. დღეს კი კვლავ გაჩნდა ინტერესი „ფაქტის ლიტერატურის“ მივიწყებული ესთეტიკის მიმართ.

განსაკუთრებით ძვირფასია ის ნონფიქშენი, რომლის ავტორიც თვითმხილველი, ზოგჯერ კი მონაწილეც არის მის მიერ მოთხრობილი ამბებისა, ანუ ნატურიდან ხატავს (ნატურიდან დახატული მრავალი ეპიზოდია „შუშანიკის წამებაში“, „აბოს წამებაში“ გიორგი ათონელის „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“, გიორგი მცირეს „გიორგი ათონელის ცხოვრებაში“, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში...).

ნატურიდან ხატვის ოსტატობას, მეტადრე როცა ეს სიტყვის, ამჟღავნებს აბსტრაქტული გამომსახველობითი მასალის, მეშვეობით ხდება, თავისი სპეციფიკა აქვს, მათ შორის ესთეტიკური შემოქმედების თვალსაზრისითაც.

სიტყვების მეშვეობით ნატურიდან დახატული ცხოვრებისეული ეპიზოდის მომხიბვლელობა მისი შექმნიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ იჩენს თავს მთელი სისრულით. ეს შეიძლება შევადაროთ ფოტოს ან დოკუმენტურ კინოფირს, რომელიც რაც უფრო ძველია, რაც უფრო დიდი ხნის წინანდელ ვითარებას ასახავს, მით უფრო ძლიერ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, მათ შორის ესთეტიკურ ზემოქმედებასაც. ფოტო, რომელიც გადაღების მომენტში შეიძლება არცკი წარმოადგენდეს ესთეტიკურ ღირებულებას, ასეთად იქცევა მისი გადაღებიდან დიდი ხნის შემდეგ, რასაც საფუძვლად უდევს ფოტოს თვისება – გადაგვახედოს ავთენტურად წარსულში. ავთენტურობა განსაკუთრებულ ხიზლს სძენს ნონფიქშენსაც, რაც ამგვარი ნაწარმოების ესთეტიკის თავისებურებას წარმოადგენს. ეს არის დოკუმენტური ტექსტის ჯადოსნური თვისება – გადაგვისროლოს საუკუნეების სიღრმეში, ანუ წარსულში გვამოგზაუროს.

ამ ყაიდის თხზულებებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გადმოცემული ფაქტის ან მოვლენის მიმართ ავტორის ემოციურ დამოკიდებულებას და ამ დამოკიდებულების „კონვერტაციას“ ტექსტის სტილისტიკაში. სინამდვილისეული ფაქტის აღწერილობას სწორედ ეს გარემოება ანიჭებს ყველაზე მეტად ლიტერატურულ ღირსებებს და, ამდენად, დროში გამძლეობის უნარსაც.

ვნახოთ რამდენიმე პასაჟი, რომლებშიც რეალური მოვლენისადმი მთხრობელის ემოციური დამოკიდებულება (მოწონება, აღტაცება, მოწიწება, კრიტიკა, დაცინვა...) სათანადოდ აისახება თხრობის სტილისტიკაზე; დავაკვირდეთ იმ ხერხებს (ტროპული მეტყველება, ირონია, ქვეტექსტი, სიტყვის თამაში...), რომელთა გამოყენებითაც ხდება მთხრობელის ემოციის მიტანა მკითხველამდე, რაც მწერლური ოსტატობის საკითხებს უკავშირდება და დიდად განაპირობებს მთელი ტექსტის ესთეტიკურ ღირებულებას.

დავიწყოთ იუმორით, რომელსაც ის თვისებაც აქვს, რომ მისი შუქით განათებული უბრალო მოვლენაც კი მნიშვნელოვნებას იძენს და დასამახსოვრებელი ხდება. იუმორი წვრილმან, არაფრით გამორჩეულ

ყოფით მომენტებსაც კი სიცოცხლეს უხანგრძლივებს და, მით უმეტეს, ერთობ აძლიერებს იმ მოვლენების ცხოველყოფილობას, რომელთაც ისტორიულს ვუწოდებთ.

სამაგალითოდ ვნახოთ ერთი პასაჟი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან. აქ იუმორისა და ირონიის წყალობით შესაძლებლობა გვეძლევა ცოცხლად დავინახოთ დიდგორის ომის დამაგვირგვინებელი სტადიის ის ეპიზოდი, როცა სალამო ხანს ომის ბედი ქართველთა ლაშქრის სასარგებლოდ გადაწყდა და მტერი უკუიქცა. ვნახოთ, როგორ გვაუწყებს ამის შესახებ მემკვიდრე:

„და მიდრეკასა დღისასა მიდრეკეს სივლტოლად [მომხდურნი] ესეოდენ ზარგანხდილნი და მოსწრაფენი, ვიდრემდის არცა თუ კარავთა მათთა და ჭურჭელთა მიხედნეს ყოვლად, არამედ მოსწრაფებასა პატივ-სცეს ფერხთა მათთა უფროს საქონლისა მათისა“.

თანამედროვე ქართულით ეს ასე იქნება:

„სალამო ჟამს მოკურცხლეს [მომხდურთ], იმდენად თავზარდაცემულებმა და აჩქარებულებმა, რომ აღარც თავიანთი კარვები და ქონება ახსოვდათ და თავიანთი ფეხების სწრაფ მოძრაობას მეტი პატივი დასდეს, ვიდრე სარჩო-საბადებელს“.

ჩინებულად არის დახატული, როგორ თავკუდ-მოგლეჯილი გარბის უკუქცეული მტერი. საუცხოოა ფრაზა: „მოსწრაფებასა პატივ-სცეს ფერხთა მათთა უფროს საქონლისა მათისა“. ეს დინჯი იუმორი, მტერზე აბსოლუტური უპირატესობის გამომხატველი ინტონაცია, არა მარტო შეეფერება აღწერილ სურათს, არამედ დიდი წვლილი შეაქვს საუკუნეების წინანდელი რეალობის გაცოცხლებაში.

სამწუხაროდ, იუმორის გამაძლიერებელი ჩინებული სიტყვის თამაში – „და მიდრეკასა დღისასა მიდრეკეს სივლტოლად...“ თანამედროვე ქართულზე ადეკვატურად ვერ ითარგმნება, იმის გამო, რომ ახლანდელ ქართულში „მიდრეკასა დღისასა“ „სალამო“, „მზის ჩასვლის ჟამმა“ ჩანაცვლა, ხოლო „მიდრეკეს სივლტოლად“ კი დღევანდელი ენით „მოკურცხლეს“ იქნება, ანუ ზემოთ ხაზგასმული სიტყვის თამაში იკარგება.

Levan Bregadze

HISTORICAL MINIATURES

Summary

The aesthetics of documentary prose (in modern terminology – nonfiction) differs in several aspects from the aesthetics of fiction. Reflecting a fact that actually happened through words in such a way that it (the fact) appears alive before the reader’s eyes requires proper writing skills. This skill implies both a high level of mastery of the language and the art of composition. In addition, the author of fiction is required to have a talent for invention, as well as the ability to creative imagination. Especially valuable is that nonfiction, the author of which is an eyewitness, and sometimes even a participant in the events he tells, that is, he draws from nature.

The skill of drawing from nature has its own specifics, including in terms of aesthetic impact. The charm of a life episode drawn from nature through words appears in its fullness long after its creation. This can be compared to a photograph or documentary film, which, the older it is, the stronger its impact on the reader.

In this type of literary works, great importance is attached to the author’s emotional attitude towards the fact or event being conveyed. It is precisely this circumstance that gives the description of a real fact the greatest literary features and, therefore, the ability to endure over time.

There are many episodes drawn from nature in “Martyrdom of Holy Queen Shushaniki”, “Martyrdom of Abo”, “The Lives of Ioane and Ephrem” by Giorgi Atoneli (George the Hagiorite), “The Lives of George Atoneli(George the Hagiorite)” by Giorgi Minor, in the works of the historian David Agmashenebeli (David IV the Builder)... The passages, described with great literary mastery, reflect the narrator’s emotional attitude towards the real event (appreciation, admiration, respect, criticism, ridicule...). Various techniques are used (tropical speech, irony, subtext, word play, humor...), which significantly determines the aesthetic value of the text.

თენგიზ გუმბერიძე

**აკაკი წერეთელი და
ძველი ქართული მწერლობის
ზოგიერთი საკითხი**

ძველი ქართული მწერლობის კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს XIX საუკუნის ქართულის ლიტერატურის კლასიკოსმა წარმომადგენლებმა. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აკაკი წერეთელს, რომელიც მრავალმხრივი მოღვაწე იყო. იგი ახალგაზრდობიდანვე იყო დაინტერესებული ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული საკითხებით. გავიხსენოთ, აკაკის სადიპლომო ნაშრომიც „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხს ეხებოდა, რითაც მან პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე სწავლა დაასრულა. „ვეფხისტყაოსნის“ საკითხების კვლევა აკაკის ამით არ ამოუწურავს და კვლავაც გააგრძელა ეს საქმიანობა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1888 წელს „ვეფხისტყაოსანი“ აკაკის უშუალო მონაწილეობით გამოიცა. „ვეფხისტყაოსნისადმი“ აკაკი წერეთლის შეხედულებანი ვრცელი საკითხია და ასეთი მცირე მიმოხილვითი წერილი მას ვერ დაიტევს. გარდა ამისა, დიდი აკაკის მახვილ კალამს არც სხვა მნიშვნელოვანი საკითხები დაუტოვებია ყურადღების მიღმა. იგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართული აგიოგრაფიისადმი. თავის ერთ წერილში, რომელსაც ჰქვია „ცნობა ქუთაისიდან“, აკაკი ეხება ქუთაისის თეატრის სცენაზე სომხური დასის მიერ წარმოდგენილ ორ

პიესას. ერთ-ერთი პიესა იყო „შუშანიკის წამება“. პოეტი დაინტერესებულა არა იმდენად პიესით, არამედ უფრო იმით, თუ როგორ იმოქმედებდა შუშანიკის წამების ფაქტი და მისი სცენაზე წარმოდგენა ჩვენს საზოგადოებაზე, კერძოდ, აქაურ ქალებზე. როგორც დიდი პოეტი ამბობს, იგი თავად წინდაწინვე არ ფიქრობდა ჩვენი მანდილოსნების სასარგებლოდ და რატომ: ჩვენს ქალებს არც დროება და არც ის წრე, რომელშიც დგანან, არ აძლევენ იმისთანა საზრდოს, რომ ისინი სულით ამაღლდნენ და გულით განსპეტაკდნენ. „ამდროულს ჩვენს ქალს უკიდურეს ტრაგიკულ მწუხარებათ ის მიაჩნია, თუ სადმე მეჯლისში ვერ წავიდა და თუ წავიდა და კადრილი არავინ ეტანცავა. მისი სული მხოლოდ მაშინ შეძრწუნდება, თუ სხვა ქალის ტანზედ უკეთესი კაბა დაინახა და გულიც მაშინ აუღელდება, თუ ქმარმა ლოტოს სათამაშოდ არ გაუშვა“ (წერეთელი 1960ა: 216). აკაკის წარმოდგენით, ამგვარი მოკლე გრძნობების ჩვენს ქალებს როგორ შეეძლოთ ეთანაგრძნოთ შუშანიკისთვის ამ „მაღალ გრძნობიან სასიქადულო ქალისათვის“, რომლის მსგავსებით სავსე იყო ძველ დროში საქართველო და სომხეთი. ამის შემდეგ აკაკი თავისებურად ჰყვება შუშანიკის წამების ამბავს. წამებული შუშანიკი შეჰყურებდა მრისხანე ქმარს და, აი რას ხედავდა და გამოთქვამდა მაშინ მისი სახე: „რას მრისხანებ ჩემო ქმარო და მთავარო, დროთა ვითარებამ, მისმა მტარვალობამ და ხალხის უგუნურმა მიუხვედრობამ ჩვენი ცოლ-ქმრობის კავშირს მისცა რაღაც მონური ხასიათი. თუმცა მე უნდა ვიყო შენთან მეგობრულს, თანასწორის კავშირით შეერთებული, მაგრამ, ვაი, რომ ჯაჭვი მაქვს მობმული უსამართლოდ და ის ჯაჭვიც შენ გიჭირავს უკანონოდ მაგარის და მძლავრის ხელით. დრო და ხალხის უგუნურება შენ გეხმარება და მეც ოდესმე მოსასპობელ, მაგრამ დღეს მტარვალ კანონს უნდა ვემონო, რადგანაც მარტო ჩემთვის არ არის ეს კანონი, მაგრამ საზოგადოა დედაც სქესისათვის. რაღა გაეწყობა, ჩემი გვამი გეკუთვნის შენ, შეგიძლიან ისე მოიხმარო, როგორც გსურს, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ მე მაქვს სული, ჩემშიდ არის ზნეობითი მხარეებიც, რომელიც მთლად ეკუთვნის ჩემს სამშობლოს და მის სარწმუნოებას“ (იქვე: 217).

აკაკის თქმით, ამგვარს რამეს ახლანდელი ქალები სიზმარშიაც ვერ ნახავენ და რა საკვირველია, ეს სცენა

იმათ არ ეჭაშნიკებოდათ და მართლაც პუბლიკა ისე მოიქცა, როგორც ეკადრებოდა: „მოჰყვა სიცილ-ხარხარს!... ორიოდ-სამიოდე მსმენელთაგანმა უკმაყოფილება გამოაცხადეს მის უადგილოდ ქცევაზე და მოკისკისე ქალბატონებს ძალიან უკვირდათ! რაოდა, ჰფიქრობდნენ გუნებაში, ორი მანეთი გადამხთა, ორი შაურის არ უნდა ვიციო? ეს ხომ კანონიერი სარგებელია და მაშ რაღას მიედ-მოედებიან უსამართლოთაო და სხვა“ (წერეთელი 1960ა: 217). კიდევ კარგი, რომ ამის შემდგომ სცენას (სომხეთიდან წასული მოხუცებულის გამოსვლა სცენაზე (მსახიობი უ. ამერიკიანი) და შუშანიკისთვის სომხეთის ჭირისა და თავის თავგადასავალის მბოზა) კი დაუმძიმებია ჩვენი ქალების მხიარული ხასიათი და დაუმეზნიათ ხელსახოცები ცრემლების შესაშრობად. ამ სცენის შემდეგ ჩვენს პუბლიკას აღარ მოუთხოვია სიცილით ორმანეთიანი დანახარჯის აღება. სამაგიეროდ მეორე პიესას („ბებრების ჭკუის სწავლება“) ორი მანეთის ნაცვლად ოცი მანეთის სიცილით საზღაურიც კი გადაუხდია მაყურებლისთვის, ისე მხიარული სანახაობა ყოფილა.

აკაკი საფუძვლიანად სცოდნია ბიბლიური პასაჟები და ქართული სასულიერო მწერლობა. ის თავის შემოქმედებასა და წერილებში ხშირად იყენებს ქართული ჰაგიოგრაფიის მონაცემებს. ამის დასტურად „თორნიკე ერისთავი“ და „ბაში-აჩუკიც“ კმარა. ამასთანავე, იგი მსჯელობდა „ბალავარიანზე“, ახსნებდა ხოლმე ათონელებს. ყოველთვის აქტიურობდა ძველი ტექსტების გამოცემის საქმეშიც.

აღსანიშნავია აკაკი წერეთლის ზრუნვა ძველი ხელნაწერების შეკრებისთვის. იგი, როგორც ცნობილია, პეტერბურგში სწავლის პერიოდიდან ყოფილა ამ საქმით დაინტერესებული. სწორედ ეს ხელნაწერები ყოფილა აკაკისათვის ძირითადი წყარო ნიკოლოზ კოსტომაროვთან და ტარას შევჩენკოსთან მაშინდელი ცნობილი საუბრისას (წერილი-დიალოგი აკაკიმ დაწერა რუსულად და შეტანილია თხზულებათა მე-15 ტომში, 1963, გვ. 553-556). ეს სახელმოხვეჭილი პიროვნებები გაკვირვებას ვერ მაღავდნენ აკაკის მონათხრობის გამო დასავლეთ საქართველოში დიდი მართლმადიდებლების (ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი) პირველი საუკუნიდანვე შემოსვლასთან

დაკავშირებით, დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართველი მოწამეებისადმი. ასევე, ძალზე დაინტერესებულან ქართული ანბანის წარმოშობით, ძველი ქართული სასულიერო და საერო მწერლობის შედეგებით და ადათ-წესებთან ერთად ძველი ქართული კანონების წერილობითი ნიმუშებით, რომელთა მიხედვითაც „წყდებოდა საქმეები“ (и по ним решались дела).

აკაკის დიდი ინტერესი გამოუჩენია პოლტავის გუბერნიაში გაბნეული ქართული ხელნაწერებისადმი. ასევე მას დიდი სურვილი ჰქონია სომხურ ტაძრებში (ეჩმიადინში) დაცული ძველი ქართული ხელნაწერების გაცნობოდა (ლ. მენაბდე).

აკაკი წერეთელი კიდევ უფრო დიდ ინტერესს ამჟღავნებდა ძველი საერო-მხატვრული მწერლობისადმი. გაცილებით უკეთ იცნობდა მას და ყოველთვის მოკრძალებით მოიხსენიებდა მის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, თუმცა საპირისპირო ფაქტებსაც ვხვდებით, როცა დიდი პოეტი ერთგვარად უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდა ქართველი მეხოტბეების მიმართ. ზოგადად, „თერგდალეულების“ პოზიციიდან გამუქებული „თამარიანი“ და „აბდულმესიანი“ ძალზე კრიტიკულადაა წარმოჩენილი (დიდი ილიაც რომ გავიხსენოთ, ესეც საკმარისი იქნება ამ ნათქვამის დასადასტურებლად) და აკაკისთვისაც მიუღებელი იყო შავთელისა და ჩახრუხადის რუსთველის გვერდით დაყენება დამით უფრო აღაშფოთებდა ის ფაქტი, რომ ამ მეხოტბეებს ხშირად რუსთველზე წინაც წარმოაჩენდნენ ან თუნდაც რუსთველის გვერდით და მის პარალელურად განიხილავდნენ. აკაკი უგულებელყოფდა მეხოტბეთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეალებს. ერთ-ერთი წერილის („ქართული სცენა“) მიხედვით, უმეცარს, რაც თვალში არ ეჩხირება და ყურში მკვახედ არ მოხვდება, ის არაფრად მიაჩნია და ამის ბრალია, რომ „ბრბო იმასა სცემს თაყვანს, რაც... გაზვიადებულია. ავიღოთ, მაგალითად, თვით მუზიკა. საზოგადოთ ასში ნახევარს არ ესმის! – უმეტესობას ზურნა-ჭიანური ურჩევნია ფორტეპიანს და შოპენის მელოდიებზე უფრო ტიპტიპიტო მოწონს, მაგრამ ვერ ბედავს გამხელას, არ შევრცხვეო, და სხვების აყოლით აქებს და ადიდებს იმას, რაც არც იცის და ვერც შეიგნებს!

– აბა, დაუკარით და მოასმენინეთ ვაგნერის მუზიკა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ უთხარით: ეს უბრალო ვინმეს შეთხზულია-თქო, თუ მაშინვე არ დაიწყუნოს, – წინდაწინვე რომ ეცოდინება ვაგნერისაო, მაშინ კი რა საკვირველია მოიწონებს... ასევე შეეხება მხატვრობას, ქანდაკებას, მწერლობას და სხვა“ (წერეთელი 1960გ: 214-215). აკაკი ამ ზემოთ მონათხრობს უკავშირებს იმ ფაქტს, რომ, მისი აზრით, უმეცრებისა და საკითხში ჩაუწვდომლობის ბრალია, რომ, სადაც კი რუსთველს ახსენებენ მეთორმეტე საუკუნის აქეთ, მაშინვე „თავში შავთელს წამოუსკუპებენ“. ამდენად, რუსთველის ვერგაგება მათ საშუალებას აძლევთ, რომ შავთელიც აქონ და ადიდონ გენიოსი შოთას გვერდით, ზოგჯერ ამ უკანასკნელზე მეტადაც კი.

დიდი მგოსნისთვის შავთელის რუსთველის ოდენ პოეტად წარმოდგენა კი არა, საერთოდ მიუღებელი იყო მეხოტბეთა (შავთელი, ჩახრუხადე) საკარო ლექსი. აკაკი, როცა შავთელსა და რუსთველს ერთმანეთს ადარებს, სვამს კითხვას: რა იყო ამ ორ მწერალში საერთო? და იქვე პასუხობს – არაფერი. იგი გარკვეულწილად გამოხატავს მძაფრ აგრესიას და ვერ ეგუება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზოგჯერ შავთელს რუსთველზე მეტად აქებენ და მასზე წინაც აყენებენ: „ერთი მგოსანი და მეორე კი გაბერილი უნიჭო რიტორი!... ერთი ყველასათვის ადვილად გასაგები და სისხლ-ხორცში გამჯდომი და მეორე კი გაუგებარი გრძნობა-გონების მძიმე ტვირთი!... მაშ როგორ მოხდა? რა იყო მიზეზი შავთელის გაზვიადებისა და რუსთველზე უმაღლესათ დაყენების? უმეცრების თავმოყვარეობა!...“ (იქვე: 215).

აკაკის წარმოდგენით, რუსთველის პოემა მკითხველისთვისადვილადგასაგებიადაამიტომუბრალოქმნილებად მიაჩნიათ, ხოლო შავთელის გაუგებარი სტრიქონები, იმიტომ, რომ ვერ გებულობენ, ღირებულ ნაწარმოებად წარმოუდგენიათო. რუსთველის უბრალო ნათქვამში ვერ გრძნობენ სიდიადეს და ჰგონიათ, ასე მარტივად მეც კი ვიტყოდი ან ჩემი მეგობარიც იტყოდაო: „საკვირველია კაცი – დასძენს აკაკი – რაც ადვილათ და გაუჭირვებლათ ეძლევა, არაფრად აგდებს! უბრალო ჰგონია და რაც გაჭირვებას უჩვენებს, ის დიდ რამედ მიაჩნია! შავთელისა ჩვენ ძველებს

არა ესმოდათ რა! მისი სიტყვების რახა-რუხი და ბრახა-ბრუხი ჰარმონია ეგონათ!... სიბრძნე ეგონათ; სიგრძე სიგანეს უზომავდენ და რომ ვეღარ გაატანდენ სისქეში, ფიქრობდნენ: ალბათ ეს დიდი რამეაო“ (წერეთელი 1960გ: 215). აკაკი ჭკუა-გონებით დაჩლუნგებულად მიიჩნევს მათ, ვინც ვერ მისწვდა ძლიერ შემოქმედებას, ვინც გაჰკიოდა შავთელის ქებას. რუსთველი ზეპირად იცოდნენ, შავთელის მარტო სახელი გაეგონათ და მისი თხზულებისა არა გაეგებოდათ რა, მაინც მის სახელს ახსენებდნენ მოწიწებით: „ფეხის ხმის აყოლა, იგივე „გიჰნოტიზმია“ – ჯადოა და ამიტომაც უთქვამს ჩვენს ძველებს: „ჯოგმა რომ ხეს შეჰბღავლოს, ხეც გახმებაო“, ძლიერია „დავარდნილი ხმა“... „ზოგის ბამბა ჩხრიალებს, და ზოგის კაკალიც არაო“. დიახ, ქვეყნის ხმა და ხმის აყოლა სენია... სახადი!... მართალია, ოდესმე ქვეყანაც გამოერკვევა, მოიხდის ხოლმე იმ სენს, მაგრამ გვიან...“ (იქვე: 216). აკაკის თქმით, შეიძლება ამას საუკუნეზე მეტიც დასჭირდეს.

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, აკაკიმ ზემოთ ჩამოყალიბებული აზრი გამოთქვა წერილში, რომელსაც „ქართული სცენა“ ჰქვია. იგი მეხოტბეებზე საუბრისას შეეხო ზოგიერთ ფოლკლორულ მასალას და მეხოტბეთა ლექსი მასთან შედარებითაც განიხილა. დიდი პოეტის თქმით, ხალხურ პოეზიაში პირველი ადგილი ეკუთვნის საკუთარ ნიადაგზე აღმოცენებულ ნათქვამს. როგორც თავისი გონებისა და თავგადასავლის ნაყოფი, იგი ადვილად გაირჩევა იმგვარი პოეზიისაგან, რომელიც სხვა უცხო ქვეყნებიდან შემოპარულა და ახალ გემოზე გადაკეთებულა. მაგალითისათვის განიხილავს: „თამარ მეფე ღმერთს უყვარდა“ (რომელიც მეფე გორგასალზე გავგიგონია – თ. გ.). აკაკის განმარტებით, ეს არის ნამდვილი ქართული აზრის ნაყოფი. „ციდან ჩამოესმა რეკა“, ე. ი. იქაურ (ზეციურ) ამბავს თავისი ყურით ისმენდა. შემდეგ სტრიქონებში მეფის ამქვეყნიური ძლიერებაა დასურათებული. „ახლა შევეუწონოთ ამ ორ ტაეპს პოემა „თამარიანი“, ანუ შავთელის მიერ შესხმითი ქება და რას დავინახავთ? იმას, რომ შავთელმა... მისი მეთასედიც ვერა სთქვა რა, რაც ხალხის გენიოსობამ ორი უბრალო სიტყვით გადაჭრა“ (იქვე: 257). აკაკი ასახელებს სხვა მაგალითებსაც: „მაყვალს გიგავს თვალეზიო“, „პატარა ხარ და კარგი ხარ“, „აზნაური ჭადს არა

ჭამს“, „აქამდი ჩვენი ბატონი უწრუწუნებდა ქორებსა“ და სხვა. იგი ამბობს, რომ ესენი ყველა ხალხის ნაწარმოებია.

აკაკი წერეთელმა მეხოტბეთა შეფასების საკითხში გააკრიტიკა აკადემიკოსი ნიკო მარიც, კერძოდ, „თამარიანში“ მოხსენიებული დავითის შესახებ იგი მართებულად მიაჩნებდა, რომ აქ საქმე ეხება დავით სოსლანს და არა დავით აღმაშენებელს, როგორც ნიკო მარი და ზოგი სხვა მეცნიერიც ამტკიცებდნენ.

მართებული იქნება იმის თქმა, რომ აკაკი წერეთლის შეხედულებანი, მის მიერ მეხოტბეთა ლიტერატურული ღვაწლის ასეთი უარყოფითი შეფასება გაუმართლებელია. არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ აკაკი ვერ შეგუებია რუსთველზე წინა რიგში მათ მოხსენიებას, მაგრამ, გარდა ამისა, მან ერთბაშად დაიწუნა და გააცამტვერა ჩახრუხადისა და შავთელის პოეტური ოსტატობა, მთელი მათი სალექსო ტაქეები მხოლოდ „რაზა-რუხად“ და „ბრაზა-ბრუხად“ წარმოიდგინა, ხოლო მათი ყველა მაქებარი „გონებაჩლუნგ“ მკითხველად ჩათვალა. აკაკის ეს მოსაზრებანი ადრეულია, მეცხრამეტე საუკუნისა, ხოლო XX საუკუნის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველი მეხოტბენი მართებულად არიან შეფასებული, როგორც პოეზიის დიდოსტატები. აკად. კ. კეკელიძე ხაზგასმით საუბრობს თამარისადმი მიძღვნილი ოდების მშვენებაზე, მათს არაჩვეულებრივ მხატვრულ ფორმაზე, ლექსების მომაჯადოებელ მუსიკალობაზე, ულამაზეს, შეუდარებელ და ვირტუოზულ რითმათა სიმდიდრეზე (კეკელიძე 1952: 172), ხოლო. აღ. ბარამიძის აზრით: „ისე, როგორც „აბდულმესიანის“ ავტორი, „თამარიანის“ ავტორიც პოეტი-მოაზროვნეა, პოეტი-პატრიოტია, რომელსაც გულწრფელად უყვარს თავისი მშობლიური ქვეყანა, ახარებს მისი წარმატებანი... მშობლიური ქვეყნის მესაჭეთა ადამიანური და ხელმწიფური დიდბუნოვნება“ (ქართული ლიტერატურის ისტორია 1966: 124), მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის თავისი წარმოდგენა თანდათან გაუნელდა. მართალია, მისი თავდაპირველი უარყოფითი შეფასებანი ნამდვილად გადაჭარბებული იყო, რადგან მეხოტბეთა პოეზია თუნდაც იმითაა სანიმუშო, რომ იგი ჩვენი სამშობლოს „ოქროს ხანაში“ შეიქმნა და

ქებას ასხამს აღნიშნული ეპოქის უდიადეს მოღვაწეებს, მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ აკაკიმ, საბედნიეროდ, მაინც ყველას დაასწრო და ისინი თავად მოიხსენია რუსთველის გვერდით, როგორც დიდ პოეტურ ქმნილებათა ავტორები. ამდენად, მან თავისი უარყოფითი აზრი მეხოტბეებზე ბოლო დროს მთლიანად შეიცვალა. ნიკო მარისადმი მიძღვნილი ზემოხსენებული კრიტიკული წერილის მიხედვით, პოეტი ზოგ საკითხში ეთანხმება დიდ მეცნიერს და „თამარიანს“, „აბდულმესიანს“ და „ვეფხისტყაოსანს“ ერთი ავტორის ქმნილებებადაც კი მიიჩნევს.

აკაკი წერეთლის მხედველობის არეში მთელი სიგრძე-სიგანით ადგილი დაიკავა აღორძინების ხანის კლასიკოსებმაც. დიდი პოეტი განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებს სულხან-საბა ორბელიანს, რომლის ზოგიერთი იგავილექსადაც კი გააწყო და პოეტურ-მხატვრულ შედევრად აქცია (ისე, როგორც დიდი რუსი მეიგავარაკე კრილოვის შემოქმედების ქართული თარგმანები). აკაკი ეხება სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის ფაქტს და აღნიშნავს, რომ იმ გაუსაძლის დროს ქართველთა მეწინავე დასი რჯულის გამოცვლასაც კი ფიქრობდა და კათოლიკობის მიღებას გეგმავდა. „ამ მეწინავეთა შორის ერისკაცებიც ერივნენ... მეფე ვახტანგ რჯულ-მდებელი და გამოჩენილი მწერალი სულხან-საბა ორბელიანი. ამ უკანასკნელმა... დაჰყო რამდენიმე ხანი საფრანგეთის მეფე ლუდოვიკ მეთოთხმეტის სასახლეში; იქ, როგორც ამბობენ, დაუახლოვდა თავის გვარ მწერალს მეიგავარაკე ლაფონტენს და... დაბრუნებულზე... შეიარა რომში, წარუდგა პაპის ურბან VI, პირდაპირ მისგან მიიღო კურთხევა და გაფრანგებული შემობრუნდა საქართველოში“ (წერეთელი 1960b: 385). აკაკი აღნიშნავს, რომ კათოლიკობის მიღებას სამღვდელოთა შორისაც ჰყოლია მიმდევრები, მათ შორის კათალიკოსი ანტონიც, მაგრამ ზაქარია გაბაშვილს უმხილებია ისინი და რჯულის შეცვლის საკითხიც ამით გათავებულია. დიდი პოეტი ძალიან საინტერესოდ დასძენს: „ყოველ ხალხში შეუგნებელი და უმეცარი მეტია შეგნებულზე და ბევრჯელ კი ამ უმეტესობის დაუთანხმებლად საქმე არ სწყდება. საჭირო არის ხოლმე მოფიქრებულის თავ-შეკავებულობითა და ნელ-ნელა მისი მომზადება“ (იქვე: 386).

აკაკი წერეთელი სულხან-საბა ორბელიანის თითქმის ყველა ნაწარმოებს ეხება, მაგრამ უფრო მეტად მაინც „სიბრძნე სიცრუისას“ იხსენიებს. მისი დაწერის პერიოდზეც კი გამოთქვამს ვარაუდს და აღნიშნავს, რომ საბას ევროპაში ხანდაზმულობისას უმოგზაურია, ხოლო „სიბრძნე სიცრუისა“ ახალგაზრდობაში დაუწერია. ამ მოსაზრებას თავისი გაგრძელებაც აქვს, ზოგიერთები „სიბრძნე სიცრუისას“ იგაგებს ფრანგი ლაფონტენის იგაგების თარგმნილ ვერსიად მიიჩნევდნენ. აკაკის აზრით, საბამ ლუი XIV-ის კარზე საკმაო ხანი დაყო. ლაფონტენი კი მეფის სასახლის კარისკაცი გახლდათ და გამორიცხული არ არის, რომ მათ აზრები ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ, მაგრამ ამაზე, როგორც აკაკი აღნიშნავს, არც ერთს რაიმე ცნობა არ დაუტოვებია. არადა, „ის კი მართალია, რომ ზოგიერთი არაკი ლაფონტენისა და საბასი თავიდან ბოლომდე ერთი და იგივეა, მაგალითად საბას „კუ და მორიელი“ და ლაფონტენის „ბაყაყი და მორიელი“ სიტყვა-სიტყვით ერთიმეორისგან გადაღებულიაო – იტყვის კაცი. ვთქვათ, რომ ორივემ ეზოპოსის სათავეს მიმართეს, მაგრამ მაშინ ასე ერთნაირი კაზმულობა სიტყვა-აზრისა და მჭევრმეტყველობისა, ერთი და იგივე შერითმება გასაოცარი იქნებოდა“ (წერეთელი 1960გ: 368). მართლაც, საინტერესოა, თუ რა უნდა იყოს მიზეზი ზოგიერთი არაკის ასე სიტყვასიტყვით თანხვედრისა? აკაკის უმართებულოდ მიაჩნია ის მოსაზრებაც, რომ სულხან-საბამ მოგზაურობისას მოახერხა ფრანგული ხალხური მასალის მოგროვება: „შემცდარი აზრია, ჯერ ერთი ის, რომ მოგზაურობის დროს და მერე კიდევ იმ საუკუნეში ასე ხელათ, გაკვრით ამ გვარი რამეების შეგროვება, მოუხერხებელია; და მეორე კიდევ ის, რომ მისი „სიბრძნე სიცრუე“ საბამ ყმაწვილობაშივე შეაგროვა და ევროპაში კი სიბერის ჟამს მოგზაურობდა“ (იქვე).

აკაკი კვლავ აგრძელებს აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას და აღნიშნავს, რომ ჩვენებურ ზეპირ გადმოცემებში უხვად შეხვდებით არათუ ბერძნების, რომაელების, სპარსელების, არაბების, ებრაელების (ბიბლია), არამედ „ნაკლებ მნიშვნელობიან ძველ სახელმწიფოების“ ხალხურ ნიმუშებსაც კი. „ამ ხუთი წლის წინეთ შემთხვევით ერთი პატარა რუსული წიგნაკი ჩამივიარდა ხელში: „რამდენიმე ნიმუში არაბელების

ხალხური პოეზიისა“. რომ გადავიკითხე, გავკვირდი: ჩვენი ქართული ზღაპრების თარგმანი იყო, განსაკუთრებით ერთი მათგანი: „ჭაკიცხენიდაორსულიდედაკაცი“ – სიტყვასიტყვით იყო გადაკეთებული და ქართულ გემოზე შეკაზმული“ (წერეთელი 1960გ: 368). აკაკის უფრო „ახირებულობად“ ის მიაჩნია, რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაშივე შეხვდებით ზოგჯერ უცხო ქვეყნის ხელოვნურ ნაწარმოებსაც, მაშინ როდესაც ჩვენს ლიტერატურაში კი არა არის რა იმგვარი. მაგალითისთვის ასახელებს ახალქალაქის მაზრიდან ჩვენში შემოსულ ზღაპარს, რომელსაც „გულკეტილი ტენტერა“ ჰქვია. იგი მთლიანად ბოკაჩოს ერთი ნოველიდან („მადონა იზაბელა და მისი საყვარელი...“) გადაკეთებული ყოფილა. აკაკის წარმოდგენით, ბოკაჩოს ნოველები ჩვენში ფრანგი პატრების შემოტანილი და გავრცელებული უნდა იყოს. იქვე გვიყვება ხიზაბავრაში განაგონი ერთი ფრანგული სიმღერის შესახებ, რომელშიც გმირი მალბრუგი ჯვაროსნულ ომში მიდის. ხიზაბავრელ გლეხებს მხოლოდ მალბრუგი შეეცვალათ ყაფლანით, სხვა მხრივ ფრანგული ტექსტი, რომელსაც „საფრანგეთში... გამდელები უმღერიან ყმაწვილებს“, მთლიანად გაქართულებულია, მაგრამ, აკაკის ვარაუდით, ხიზაბავრელ გაფრანგებულ ქართველებს იგი კათოლიკე მისიონერებისაგან ექნებოდათ შეთვისებული. აკაკი თვლის, რომ ასევე შეიძლება ვიფიქროთ სულხან-საბასა და ლაფონტენის იგავების მსგავსებაზე, რომელი იგავებიც ასევე კათოლიკე მისიონერების შემოტანილი იქნებოდა. ამ შემთხვევაში ნამდვილად უნდა დავეთანხმოთ მის მოსაზრებას და ვიფიქროთ, რომ კათოლიკობით დაინტერესებული ქართველი მეიგავარაკე, ახალციხე-ახალქალაქის მხარეში გავრცელებულ ამ გახალხურებულ მასალებს ადრევე გასცნობია და მით უსარგებლია.

აკაკი წერეთელი ზედმიწევნით კარგად იცნობს ძველი ქართული კულტურის ყველა წარმომადგენელს და მაღალ შეფასებას აძლევს მათს ღვაწლს. განსაკუთრებით ეთაყვანება დავით გურამიშვილის შემოქმედებას, რომელმაც რუსთველური თექვსმეტმარცვლიანი შაირი კი დაისესხა, მაგრამ განსხვავებული და ორიგინალური გზაც გაიკვალა, რის შედეგადაც შეიძლება ითქვას, რომ გურამიშვილმა

საკუთარი პოეტური სკოლაც კი შექმნა. ამაზე მეტყველებს მისი „ქაცვია მწყემსი“ და სხვა ლექსები.

აკაკი წერეთელს ხშირად უსარგებლია წარსულის შემოქმედებითი მიღწევებით და არაერთ თავის ნაწარმოებშიც შემოუყვანია ძველი მწერლური სახეები და ისტორიული პირები, რომელთა ახლებური პოეტური თუ პროზაული გარდასახვით მკითხველის თვალწინ მრავალი საინტერესო მხატვრული პერსონაჟი წარმოუჩნდება.

გამოყენებული ლიტერატურა

კეკელიძე 1952: კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1952.

ქართული ლიტერატურის ისტორია, ექვსტომეული, ტ. II, თბილისი, 1966.

ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი. რედაქტორები: ალ. ბარამიძე, ლ. მენაბდე. თბილისი, 1986.

წერეთელი 1960ა: ა. წერეთელი, თხზულებები, ტ. XI, თბილისი, 1960.

წერეთელი 1960ბ: ა. წერეთელი, თხზულებები, ტ. XII, თბილისი, 1960.

წერეთელი 1960გ: ა. წერეთელი, თხზულებები, ტ. XIII, თბილისი, 1960.

წერეთელი 1961: ა. წერეთელი, თხზულებები, ტ. XV, თბილისი, 1961.

Tengiz Gumberidze**AKAKI TSERETELI AND SOME ISSUES
OF OLD GEORGIAN LITERATURE**

Summary

Akaki Tsereteli was interested in issues of ancient Georgian literature since his youth. It is worth noting that he chose the issue of the originality of «The Knight in the Panther's Skin» as his diploma thesis upon graduating from St. Petersburg University. Akaki paid special attention to Georgian hagiography, he knew the Bible thoroughly, he often mentioned data from religious writings in his essays and artistic creations. He was also active in publishing old texts.

Akaki Tsereteli was especially concerned about the collection of old manuscripts. He also showed a great interest in ancient secular literature, modestly mentioned its prominent representatives, although he had negative opinions, for example, he disliked the poetic skill of eulogists (Shavteli, Chakhrukhadze), as he considered it unacceptable to mention them next to Rustveli. Akaki considered only «The Knight in the Panther's Skin» to be the highest and most valuable masterpiece.

It should also be said that the great poet softened his critical opinions over time and imagined the Mekhotbe poets as great patriots.

Akaki Tsereteli was thoroughly familiar with almost all the representatives of the Georgian culture of the «Renaissance Era» and highly appreciated their literary achievements. He studied and reviewed the creative works by S. Orbeliani, D. Guramishvili, Vakhtang VI and expressed important views about them.

Thus, the great poet is rightfully considered an outstanding researcher of ancient Georgian literature.

დავით იობიძე

**მწკრივთა (ნაკვთთა) ურთიერთმიმართება
კათოლიკე ეპისტოლეთა
ძველბერძნულ და ქართულ ვერსიებში**
(ნაწილი მეორე)

ნაშრომში განვიხილავთ ძველბერძნულ და ქართულ ზმნურფორმათა (მწკრივთა) ურთიერთმიმართების საკითხს წმიდა წერილის ახალი აღთქმის კორპუსში შემავალი შვიდი კათოლიკე ეპისტოლის მიხედვით. ტექსტობრივი მასალის საფუძველზე ვაანალიზებთ თითოეული ქართული მწკრივისა და მათი შესატყვისი ძველბერძნული ზმნური ფორმების შეთანადების სპეციფიკურ შემთხვევებს. მასალის დიდი მოცულობიდან გამომდინარე ნაშრომი იბეჭდება ორ ნაწილად. პირველ ნაწილში განვიხილეთ I სერიის აწმყოს წრის მწკრივები.¹ მეორე ნაწილში შევეხებით I სერიის მყოფადის წრისა და II და III სერიების მწკრივებს.

მყოფადი

მყოფადი ერთ-ერთი აქტიური მწკრივია. ის A^2 რედაქციის ტექსტში 165-ჯერ დასტურდება. აბსოლუტურ უმრავლესობაში ქართული მყოფადის მწკრივი ეკვივალენტია ბერძნულის **Futurum**-ისა. ეს უკანასკნელი გამოხატავს იმასვე, რასაც ქართული ზმნის მომავალი დრო: **γρᾶψω** „დავწერ“ (ურუმაძე 1987: 137). ყურადღებას გავამახვილებთ სპეციფიკურ მოვლენებზე.

¹ პირველი ნაწილი იხ.: 2024, №3

² A = საპატრიარქოს ბიბლიის თარგმნის ჯგუფის მიერ შესრულებული თარგმანი (2016 წ.).

• ბერძნული **Aoristus Coniunctivus** გადმოცემულია
მყოფადით

აქ ორიოდ სიტყვით უნდა შევეხოთ აორისტის საკითხს ბერძნულში. აორისტმა შეიძლება გადმოსცეს ოთხი კილო – თხრობითი, კავშირებითი, ნატვრითი, ბრძანებითი. დროითი დატვირთვა აორისტს აქვს მხოლოდ თხრობით კილოში და გამოხატავს წარსულში მომხდარ, დასრულებულ მოქმედებას. ქართულში მას წყვეტილი შეესაბამება. მაგრამ ბერძნული აორისტი სხვა კილოებში არ მიუთითებს წარსულ დროზე, არამედ მას ასპექტის გადმოცემის როლი ეკისრება, გამოხატავს მოქმედების სრულ სახეს. მაგალითად, აორისტის კავშირებითი გამოხატავს არაწარსულში მომხდარ მოქმედებას, არამედ ისეთს, რომელიც უნდა აღსრულდეს მომავალში სრული სახით, სრულასპექტიანი უნდა იყოს. ასეთი ფორმები ქართულში გადმოცემულია მყოფადის მწკრივით, რომელშიც ასპექტური ნიუანსი არ ჩანს, თუმცა ასპექტის ასახვა აზრის ნათელსაყოფად მნიშვნელოვანია. ეს რომ ასე არ იყოს, ბერძნულში, შესაბამის ფრაზებში, გვექნებოდა არა აორისტის კავშირებითი, არამედ აწმყოს კავშირებითი; კერძოდ, კავშირებითი იმიტომ გადმოიცემა აორისტით, რომ მას სრული ასპექტის გამოხატვა ეკისრება. მაგალითად: *Kai εχομεν βεβαιωτερον τον προφητικον λογον, ο καλως ποιειτε προς εχοντες ος λυχν φαινοντι εν αυχμηρ τοπω εως ου ημερα θιαυαση και φασφορος αναεσλη εν ταις καρδιας υμων* (B,³ 2πετ., 1, 19). ხაზგასმული ფორმები აორისტის კავშირებითებია და ნიშნავს: **გათენდეს** და **ამობრწყინდეს**. აორისტის ბერძნული ზმნური ფორმები მიუთითებს არა დროზე, არამედ მისი ფუნქციაა სრულ ასპექტზე ხაზგასმა, რომ მოვლენებს **გათენება**, **ამობრწყინება** სრულყოფილი სახე ექნება. A რედაქციაში ბერძნული *θιαυαση* და *αναεσλη* ზმნური ფორმები გადმოღებულია მყოფადის მწკრივით: და *გვაქვს უმტკიცესი წინასწარმეტყველური სიტყვა, რომელსაც, კარგს აკეთებთ, რომ შეუდექით, როგორც სანთელს, რომელიც ანათებს ბნელ ადგილას, ვიდრე გათენდება* და *ცისკრის ვარსკვლავი ამობრწყინდება* თქვენს გულებში (A, 2 პეტ., 1, 19). აქ ბერძნულის აორისტის კავშირებითები

³ B = THE GREEK NEW TESTAMENT, DEUTSCHE BIBELGESELLSCHAFT UNITED BIBLE SOCIETIES (IV revised edition, 1994).

თავისუფლად ჩაანაცვლა მყოფადის ფორმებმა ისე, რომ აზრი არ დაზიანებულა, თუმცა ის ასპექტური ნიუანსი, რომელსაც ბერძნული ფორმები აღნიშნავდნენ, ქართულში დაჩრდილულია, ფორმებში არ ჩანს **გათენება** და **ამობრწყინება** მოვლენების სრული სახე, რომელზეც ხაზგასმა მნიშვნელოვანია თეოლოგიური თვალსაზრისით. უმჯობესი იქნებოდა, ქართულშიც ასახულიყო მოქმედების სრული სახე, მოვლენის სრულასპექტიანობა, რისთვისაც საჭირო იყო ბერძნული აორისტის კავშირებითი ფორმები გადმოცემულიყო II კავშირებითებით **გათენდეს** და **ამობრწყინდეს**, ნაცვლად მყოფადის მწკრივებისა **გათენდება** და **ამობრწყინდება**.

სხვა მაგალითი: Εαν ομοιωσάμεν τας αμαρτίας ημων, πιστος εστιν και δικαιοσ, ινα αψη ημιν τας αμαρτίας και **καθαριση** ημας απο πασης αδικιας (B, 1 იოან, 1, 9).

A რედაქცია: თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, სარწმუნოა და მართალი და მოგვითქვებს ჩვენ ცოდვებს და **განგწმენდს** ჩვენ ყოველგვარი უსჯულოებისგან (A, 1 იოან., 1, 9).

ბერძნული **καθαριση** მოქმედებითი გვარის აორისტის კავშირებითი S₃ პირის მხოლოდობითი რიცხვის ფორმაა და გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც სასურველია შესრულდეს, ამასთან, მოქმედება სრულასპექტიანია. ქართულ თარგმანში ბერძნული ზმნური ფორმა გადმოღებულია მყოფადის მწკრივით **განგწმენდს**. ქართულში ის ასპექტური ნიუანსი არ ჩანს, რაც ბერძნულ ფორმაშია ასახული. ვიმეორებთ, ასპექტის ანუ მოქმედების სახის ასახვას სემანტიკურ პლანში გარკვეული დატვირთვა აქვს; იგი სრულად, გამჭვირვალედ გადმოსცემს სათქმელს. ბერძნული ტექსტის მიხედვით, ღვთისაგან ჩვენი განწმენდის პროცესი იქნება სრულყოფილი, სისრულეში მოყვანილი, ჩვენ განვიწმიდებით მთელი სისავსით. სწორედ ამ სემანტიკურ ნიუანსს აღბეჭდავს ბერძნული აორისტის კავშირებითი ზმნური ფორმა **καθαριση**. თუ სრულ განწმენდაზე არ იქნებოდა ხაზგასმა, ბერძნულში გვექნებოდა აწმეოს კავშირებითი ფორმა **καθαριη**, რომელიც უსრულასპექტიანია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოქმედებას სრულყოფილი სახე არ ექნება, განწმენდა ნაწილობრივი იქნება. ბერძნული აორისტის კავშირებითი შესატყვისი ქართულის მყოფადის ზმნური

ფორმა განგვემენდს ვერ გამოხატავს ბერძნული ფორმის სემანტიკას, აქ არ ჩანს განწმენდის რაგვარობა – სრული იქნება ეს თუ ნაწილობრივი.

ბერძნული ფორმის **καθαρσις** თარგმნასთან დაკავშირებით საინტერესო ვითარებაა ძველ ქართულ თარგმანებში. დავიმოწმებთ შესაბამის ტექსტებს:⁴

უკუეთუ აღვიარნეთ ცოდვანი ჩუენნი, სარწმუნო არს და მართალ, რადთა მოგვტევნეს ჩუენ ცოდვანი ჩუენნი და **განწმენდნეს** ჩუენ ყოვლისაგან სიცრუისა (C¹, 1 იოან., 1, 9

უკუეთუ აღვიარნეთ ცოდვანი ჩუენნი, სარწმუნო არს და მართალ, რადთა მოგვტევნეს ჩუენ ცოდვანი ჩუენნი და **განგუწმენდნეს** ჩუენ ყოვლისაგან სიცრუისა (L², 1 იოან., 1, 9)

როგორც გამოჩნდა, ძველ თარგმანებში **καθαρσις** ფორმასთან მიმართებით ყველგან გამოყენებულია პირველი კავშირებითის მწკრივი, რომელიც მომავალ დროს გამოხატავს, მაგრამ მოქმედების რაგვარობა ასპექტის მიხედვით აქაც არ ჩანს.

სხვა ნიმუშები მყოფადის მწკრივით ბერძნული აორისტის კავშირებითის გადმოცემისა:

Αδελφοι μου, εαν τις εν υμιν πλαυηθι απο της αληθειας και επιστρεψι τις αυτον (B, 1აკ., 5, 19)

ძმებო, თუ ვინმე თქვენ შორის ჭეშარიტების გზას **ასცდება** და ვინმე **მოაქცევს** მას (A, 1აკ., 5, 19)

Ιδου τιθημι εν Σιων λιθον ακρογωνιαιον εκλεκτον εντιμον και ο πιστευων επ αυτω ου μη καταισχυσθι (B, I πετ., 2, 6)

აჰა, ვდებ სიონში ლოდს, ქვაკუთხედს, რჩეულს, პატიოსანს და ვინც ირწმუნებს მისას, არ **შერცხვება** (A, I პეტ., 2, 6)

:

ბერძნულ ტექსტებში ხაზგასმული ფორმები აორისტის კავშირებითებია. ქართულში ისინი მყოფადის მწკრივის ფორმებითაა გადმოცემული.

• ბერძნული **Preasens Indicativus** გადმოცემულია **მყოფადით**

საინტერესო შემთხვევაა, როდესაც ბერძნულის Preasens Indicativus ქართულში გადმოდის მყოფადის მწკრივით.

⁴ C¹ L² = კათოლიკე ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსიები (X-XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, 1956).

ზემოთ განხილულ შემთხვევებში წარმოჩენილი ზმნურ ფორმათა შენაცვლებები გარკვეულ სემანტიკურ გადაწყვეტებს იწვევდა, თუმცა აზრის ძირითადი ხაზი დაცული იყო. ბერძნულის **Preasens Indicativus**-ის მყოფადის მწკრივით გადმოცემას გამართლება არ აქვს როგორც მორფოლოგიურ, ისე სემანტიკურ პლანში. მსგავსი შემთხვევები არცთუ ისე მცირეა განსახილველ ტექსტში. დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს. იაკობის ეპისტოლის ბერძნულ ტექსტში ვკითხულობთ:

εγγισατε τω Θεω και **εγγυει** σμιν. მიუახლოვდით ღმერთს და καθισατε χειρας, αμορταλοι, **მოგიახლოვდებათ** თქვენ, και αγυισατε καρδιας διςυχοι განიწმინდეთ ხელები, (B, iak., 4, 8) ცოდვილნო, და უბიწოყავთ გულები, ორგულნო (A, iak., 4, 8)

A რედაქციის თარგმანში ბერძნული **εγγυει** გადმოღებულია **მოგიახლოვდებათ** შესატყვისით, რომელიც მყოფადის მწკრივია. ძველი ქართული თარგმანები, კერძოდ, **ს'ყ'ლწ** რედაქციები, გვიჩვენებენ II კავშირებითის **მოგეახლოს** ფორმას: მიეახლენით ღმერთსა და **მოგეახლოს** თქუენ.

ბერძნული **εγγυει** არის **εγγυζω** ზმნური ფორმის აწმყო დროის **S₃** პირის მხოლოდობითი რიცხვის ფორმა, რაც ნიშნავს **ვუახლოვდები** (უახლოვდები, უახლოვდება...) (Дворецкий 1958: 446). **εγγυει** ქართულად უნდა ითარგმნოს, როგორც **გიახლოვდებათ**,⁵ ე. ი. პროცესი ახლა მიმდინარეობს, ამჟამად გიახლოვდებათ. ქართულ თარგმანში ბერძნულის აწმყოს ფორმა **εγγυει** (**გიახლოვდებათ**) გადმოცემულია მყოფადის მწკრივის ფორმით: **მოგიახლოვდებათ**, რითაც, ერთი მხრივ, ბერძნული ტექსტის მორფოლოგიური ვითარებაა დარღვეული და, მეორე მხრივ, ნათქვამის შინაარსი შეცვლილია. დამოწმებულ ბერძნულ ზმნურ ფორმაში არ გვაქვს მყოფადის მაწარმოებელი **-σ** სუფიქსი. შესაბამისად,

⁵ ბერძნულ ზმნას პირის ნიშნები არ აქვს. სუბიექტის პირი და რიცხვი ფლექსიურადაა აღნიშნული, ხოლო ობიექტი ფორმალურად არ ჩანს. ფორმაში **εγγυει** შეიძლება ვიგულისხმოთ ობიექტის სამივე პირი ორსავე რიცხვში: მიახლოვდება / გვიახლოვდება, გიახლოვდება / გიახლოვდებათ, უახლოვდება (მას/მათ). ასეთ შემთხვევაში კონტექსტი არკვევს ობიექტის პირსა და რიცხვს.

აღნიშნული ბერძნული ფორმა არ შეიძლება ითარგმნოს მყოფადისა და კავშირებითის მწკრივებით, როგორც გვაქვს ახალსა და ძველ ქართულ თარგმანებში. ბერძნული **ἐγγυσει** მყოფადში იქნებოდა **ἐγγυσει** (**მოგიახლოვდება(თ)**). ამ შემთხვევაშიც დაუშვებელია ბერძნული მყოფადი **ἐγγυσει** კავშირებითით ითარგმნოს, რადგან ბერძნული **Futurum** (მყოფადი), განსხვავებით **Preasens, Imperfectum** და **Aoristus-**ისაგან, კავშირებით კილოს ვერ აწარმოებს.

დამოწმებული ფრაზა განვიხილოთ სემანტიკურ პლანშიც. იაკობ მოციქული მნიშვნელოვან საღვთისმეტყველო შინაარსს აცხადებს. ის ამბობს, რომ ღმერთი მომავალში კი არ მოგვიახლოვდება, არამედ ამჟამად გვიახლოვდება, იგი უკვე ამ მოახლოების პროცესშია. ასეთი აზრობრივი ვითარება ბერძნულ ორიგინალ ტექსტში, რასაც ნათლად აჩვენებს **Ἐγγυσει** ფორმაც. ქართულ თარგმანებში ბერძნულისაგან განსხვავებული ზმნური ფორმებია გამოყენებული და, შესაბამისად, იაკობ მოციქულის ნათქვამიც, თეოლოგიურ პლანში, დაჩრდილულია.

სხვა ნიმუშები:

Και ο κοσμος παραγεται και η επιθυμια αυτου, ο δε ποιων το θελημα του Θεου **μεινει** εις τον αιωνα (B, 1 იოან., 2, 17)

და ეს სოფელი წარმავალია და მისი გულისთქმაც, ხოლო ვინც ასრულებს ღვთის ნებას, **იქნება** უკუნისამდე (A, 1 იოან., 2, 17)

Ινα, εν ω **καταλίσουσιν** υμων ως κακοποιων... (B, I πετ. 2, 12)

როცა ავს **იტყვიან** თქვენზე, როგორც ბოროტმოქმედებზე... (A, 1 პეტ., 2, 12)

Τουτο γαρ χαρις ει δια συνειδησιν Θεου **υποφερει** τις λυπας πασχων αδικως (B, I πετ. 2, 19)

რადგან მაღლი ღვთისაგან ეს არის, ვინმე თუ ღვთის ხსოვნის გამო **დაითმენს** მწუხარებას (A, 1 პეტ., 2, 19)

კიდევ ბევრი ნიმუშის დამოწმება შეიძლება, თუმცა, ვფიქრობთ, ზმნურ ფორმათა აღრევის ტენდენციის ნათელსაყოფად დამოწმებულიც საკმარისია. ყველა ნაჩვენები ბერძნული ზმნური ფორმა აწმყო დროისაა. მათი ქართული ზმნური შესატყვისები მყოფადის მწკრივის ფორმებია. ასეთ ფაქტებს რეგულარული ხასიათი აქვს.

• ბერძნული **Praesens Coniunctivus** გადმოცემულია
მყოფადით

ბერძნულ ენაში კავშირებითი კილო დამოუკიდებელ წინადადებაში გამოხატავს მთქმელის მოქმედებისადმი შემდეგ დამოკიდებულებას: ეჭვი, მოწოდება, აკრძალვა; ხოლო დამოკიდებულ წინადადებაში – მაქვემდებარებელ კავშირს მთავარ წინადადებასთან. ბერძნული კავშირებითი კილოს ფორმები კონტექსტის გარეშე, ჩვეულებრივ, არ ითარგმნება. იგი მოეპოვება ყველა დროს, გარდა მყოფადისა (Вольф. Малинаускене 2002: 139).

კანონზომიერია ისეთი ენობრივი ფაქტი, როდესაც ბერძნული **Praesens Coniunctivus** ქართულში გადმოცემულია მყოფადის მწკრივით. იოანეს პირველ ეპისტოლეში ვკითხულობთ: τεκνια, μη **αγαπαμεν** λογω μηδε τη γλωσση αλλα εν ερω και αληθεια (B, 1 ιοαν., 3, 18). ხაზგასმული **αγαπαμεν** აწმყო დროის კავშირებითი კილოს S₁ პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაა. აქ კავშირებით კილოზე -**ω** ელემენტი მიუთითებს. როგორც აღვნიშნეთ, ბერძნული კავშირებითი კონტექსტის გარეშე არ ითარგმნება. თუ ბერძნულში აწმყოს კავშირებითის ფორმა უარყოფითი ნაწილაკის გარეშეა, კანონზომიერი იქნება, თუ იგი ქართულში გადმოიცემა ასევე კავშირებითებით (აწმყოს, მყოფადის, II), ხოლო უარყოფითნაწილაკდართული ფორმა ქართულ თარგმანში თავისუფლად შეიძლება გადმოვიდეს როგორც კავშირებითის, ისე მყოფადის ფორმებით. იოანეს ეპისტოლედან დამოწმებულ მონაკვეთში დადასტურებული ფორმის თარგმნასთან დაკავშირებით საინტერესო სურათს გვიჩვენებს ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია:

შვილნო, ნუმცა **იყუარობთ**
სიტყვთა, ნუცა ენითა
ხოლო, არამედ საქმითა და
ჭეშმარიტებითა (C¹, 1 იოან., 3, 18)

შვილნო ჩემო, ნუ **ვიყუარებით**
სიტყვთა ხოლო, ნუცა
ენითა, არამედ საქმითა და
ჭეშმარიტებით ა (C¹, 1 იოან., 3, 18)

ჩემო შვილებო, ნუ **გვეყვარება**
სიტყვით, ნურც ენით, არამედ
საქმით და ჭეშმარიტებით (A, 1
იოან., 3, 18)

ბერძნული **Praesens Coniunctivus** **αγαπᾶμεν** ფორმა Ὡ' Ἦ Ὶ რედაქციებში გადმოღებულია უარყოფითნაწილაკიანი აწმყოს მწკრივის ფორმებით: **ნუმცა იყუარობთ, ნუ ვიყუარობთ**, ხოლო თანამედროვე თარგმანში გვაქვს **ნუ** ნაწილაკიანი მყოფადის მწკრივის ფორმა. ასევე კანონზომიერი იქნებოდა ქართულ თარგმანებში გვექონოდა კავშირებითის ფორმა – **არ გვიყვარდეს**.

სხვა შემთხვევაშიც ბერძნული **Praesens Coniunctivus** თანამედროვე ქართულ თარგმანში გადმოცემულია მყოფადის მწკრივით:

Εν τούτω γινώσκωμεν ὅτι αγαπᾶμεν ამით შევიცნობთ, რომ
τατεκνα του Θεου, όταν τον Θεον **გვიყვარს** ღვთის შვილები,
αγαπᾶμεν *και τας εντολας αυτου* როცა ღმერთი გვეყვარება და
ποιᾶμεν (B, 1 იოან., 5, 2) მის მცნებებს დავიცავთ (A, 1
 იოან., 5, 2)

ორივე ხაზგასმული ბერძნული ზმნური ფორმა αγαπᾶμεν და ποιᾶμεν ქართულში გადმოცემულია მყოფადის მწკრივის ფორმებით: გვეყვარება და დავიცავთ. ძველ ქართულ თარგმანებში კი (Ἐ' Ἦ Ὶ რედ.) გვაქვს გუიყუარდეს და ვიმარხვიდეთ I კავშირებითის ფორმები.

ამავე წინადადების დასაწყისში არის კიდევ ერთი კავშირებითის ფორმა αγαπᾶμεν, რომელიც Ἀ Ἦ Ὶ რედაქციებში გადმოცემულია აწმყოს მწკრივის ფორმებით – გვიყვარს, გყუარან. როგორც გამოჩნდა, საკმაოდ ჭრელი სურათია ბერძნული კავშირებითის ქართულად გადმოღების მხრივ.

სხვა ნიმუშები:

Και νυν, τέκνια, μένετε ἐν αὐτῷ, და ახლა, შვილნო,
ἵνα ἐὰν φανερωθῇ σχώμεν იყავით მასში, რათა, როცა
παρησιᾶν (B, 1 იოან., 2, 28) **განცხადდება,** გვექონდეს
 კადნიერება (A, 1 იოან., 2, 28)

ὅς δὲ ἀν ἔχη τον βιον του κοσμου თუ ვინმეს **ექნება** ამქვეყნიური
και θεωρη τον αδελφον αυτου ქონება და **დაინახავს** თავის ძმას
χρειαν εχοντα και κλειση τα გაჭირვებულს და დაუხურავს
σπλαγχνα αυτου απ αυτου... (B, 1 მას თავისი გულის კარს... (A, 1
 იოან., 3, 17) იოან., 3, 17)

სისტემებზე, ბერძნული Praesens Coniunctivus გადმოდის მყოფადის მწკრივით და ეს, როგორც აღვნიშნეთ, ბუნებრივია, მას ორგანულად ითავსებს კონტექსტი.

• ბერძნული **Praesens Participia** გადმოიცემა **მყოფადის** მწკრივით

ქართულ ტექსტში შეინიშნება აწმყო დროის მოქმედების მყოფადში გადატანა. ბერძნული ტექსტის მიხედვით მოქმედება ვითარდება აწმყოში, ქართული კი მომავალ დროზე აკეთებს აქცენტს, რაც სემანტიკის თვალსაზრისით არ არის გამართლებული. მაგალითად, ბერძნულის აწმყო დროის საობიექტო მიმღეობა ქართულში გადმოტანილია მყოფადის მწკრივით – ის, რაც ახლა ხდება, ქართულის მიხედვით მომავალში უნდა აღსრულდეს. დროის ამგვარი შენაცვლებით ტექსტში გადმოცემული თეოლოგიური მოძღვრება იჩრდილება. პეტრე მოციქული წერს: **κομῆσμενοι** το τέλος της πίστεως σὺν ὁδοῖς ψυχῶν (B, 1 πετ., 1, 9). ბერძნული **κομῆσμενοι** არის აწმყო დროის საობიექტო მიმღეობა მრავლობით რიცხვში და ნიშნავს **მიმღებელნი** (აწმყოში, ამ ჟამს). **Κομῆσμενοι** შეიძლება გადმოვიღოთ მიმღეობითვე, თუმცა ქართული ენისათვის უფრო ბუნებრივი იქნება მისი ზმნური ფორმით გადმოტანა. წარმოვადგენთ ჩვენეული თარგმანის ორივე ვარიანტს:

თქვენი რწმენის აღსრულების, სულთა ცხოვნების, **მიმღებელნი** ხართ;

იღებთ თქვენი რწმენის აღსრულებას – სულთა ცხოვნებას.

რა თქმა უნდა, ბერძნული მიმღეობა შეიძლება, და უმჯობესიც არის, გადმოვიდეს ზმნური ფორმით, მაგრამ დროის შენაცვლება დაუშვებელია, რასაც ადგილი აქვს A რედაქციაში: და **მიიღებთ** თქვენი რწმენის აღსრულებას, სულთა ცხოვნებას (A, 1 პეტ., 1, 9). პეტრე მოციქული ამბობს, რომ რწმენის აღსრულება უკვე აქ ხდება, აწმყოში, რომ სულის ცხოვნების პროცესი ამ ქვეყნიდანვე, ამჟამად იწყება, და არა მომავალში, როგორც ეს ჩანს ქართულ თარგმანში გამოყენებული მყოფადის მწკრივის შემთხვევაში. ბერძნულ ენას აქვს უნარი -σ ფორმანტის საშუალებით გადმოსცეს მომავალი დროის მიმღეობა. პეტრე მოციქული რომ მომავალ დროს გულისხმობდეს, შესაბამისად, მომავალი დროის მიმღეობურ ფორმას გამოიყენებდა და წინადადება

ამგვარად გვექნებოდა: **κομδιομενοι** το τελος της πιστεως υμων σωτηριαν ψυχων. ქართულად კი ასე გადმოვიდოდა:

თქვენი რწმენის აღსრულების, სულთა ცხოვნების, **მიმღებელნი** იქნებით;

მიიღებთ თქვენი რწმენის აღსრულებას – სულთა ცხოვნებას.

მსგავსი ენობრივი მოვლენის გამომხატველი კიდევ ერთი საგულისხმო ნიმუში:

Αιτειω δε εν πιστει μηδεν **διακρινομενος**; ο γαρ **διακρινομενος** εοικεν κλσδωνι θαλασσης... (B, iac., 1, 6). დამოწმებულ მიმღებობურ კონსტრუქციაში ხაზგასმული ფორმები აწმყო დროის საობიექტო მიმღებობებია. იაკობ მოციქულის მსჯელობა ახლანდელ დროს უკავშირდება, რაზეც მიუთითებს წინადადებაში ორგზის გამოყენებული მიმღებობა **διακρινομενος**, რაც ნიშნავს **დაექვევლი** (ახლა, ამ ჟამს). თუკი ზმნური ფორმით გადმოვიტანთ, გვექნება **ექვობს**. A რედაქციის ქართულ თარგმანში კი მოქმედება ისევ მომავალშია გადატანილი: და ითხოვოს რწმენით და ნურაფერი **დააექვევს**, რადგან ვინც დაექვდება, მსგავსია ზღვის ღელვისა... (A, iac., 1, 6). აქ დიდ სემანტიკურ გადაწევებს არ აქვს ადგილი, ძირითადი აზრი დაცულია. ჩვენ მხოლოდ ხაზგასმა გვინდა იმაზე, რომ ბერძნული აწმყო დროის მიმღებობები ქართულში გადმოიდის მყოფადის მწკრივით და ამას რეგულარული ხასიათი აქვს. სხვა ნიმუშებს აღარ ვიმოწმებთ.

დასკვნა:

▪ ხშირად **მყოფადის** მწკრივი შესატყვისია ბერძნული **Aoristus Coniunctivus**.

▪ გვაქვს ბერძნული **Preasens Indicativus** და **მყოფადის** მწკრივის უმართებულო შესატყვისობები.

▪ რეგულარულად ბერძნული **Praesens Coniunctivus** გადმოცემულია **მყოფადის** მწკრივით.

მყოფადის ხოლმეობითი

A რედაქციის ტექსტში დასტურდება მყოფადის ხოლმეობითის გამოყენების ერთადერთი შემთხვევა.

იოანეს პირველი კათოლიკე ეპისტოლის ბერძნულ ტექსტში ვკითხულობათ: **εξ ημων εξηλθεν αλλ ουκ ησαν** **εξ ημων, ει γαρ** **εξ ημων ησαν, μεμενηκεισαν** αν μεθ ημων (B, 50

1 ἰοαν., 2, 19). ხაზგასმული **μεμενηκεισθαι** არის აწმყოს S₁ პირის მხოლოდობითი რიცხვის μενა ზმნური ფორმის **Plusquamperfectum**-ის ყალიბი S₃ პირის მრავლობითი რიცხვში. ბერძნული **Plusquamperfectum** გადმოსცემს ისეთ მოქმედებას, რომელიც აღესრულა წარსულში და მისი შედეგი წარსულშივე დარჩა. მას შეესაბამება ქართული ზმნის II შედეგობითის მწკრივი:

ბერძნ. Preasens	ქართ. აწმყო
მხ. რ. I პ. Μενω	ვრჩები
ბერძნ. Plusquamperfectum	ქართ. II შედეგობითი
მრ. რ. I პ. Μεμενηκεια	დარჩენილვიყავ
მრ. რ. III პ. Μεμενηκεισθαι	დარჩენილიყვნენ

წინადადების – **ἐξ ἡμᾶν ἐξηλθεν ἀλλ οὐκ ἦσαν ἐξ ἡμᾶν, εἰ γὰρ ἐξ ἡμᾶν ἦσαν, μεμενηκεισθαί**⁶ **αὐν μεθ' ἡμᾶν** – ზედმიწევნითი თარგმანია: ჩვენგან გავიდნენ, რადგან არ იყვნენ ჩვენგანნი; რამეთუ თუკი ჩვენგანი **იყვნენ**, ჩვენთან **დარჩენილიყვნენ**. როგორც გამოჩნდა, ბერძნული **Plusquamperfectum** რომ გადმოვიღოთ მისი შესატყვისი ქართული II შედეგობითით, წინადადების აზრი ბუნდოვანდება. საჭიროა ბერძნულ ზმნურ ფორმას მოვუძებნოთ ისეთი ქართული მწკრივი, რომელიც აზრს გამჭირვალეს გახდის. ბერძნული **Plusquamperfectum**-ის ზმნური ფორმის კალკირებული თარგმანის პირობებში შექმნილ სემანტიკურ გაბუნდოვანებას ხსნის ძველ ქართულ თარგმანებში გამოყენებული უწყვეტლის მწკრივი. Ὡ¹ და Ὤ² რედაქციებში ვკითხულობთ: ჩუენგან განვიდეს, არამედ არა იყუნეს ჩუენგანნი; უკუეთუმცა იყუნეს ჩუენგანნი, **და-მცა-დგრომილ იყუნეს** ჩუენ თანა (1 ἰოან., 2, 19). დამოწმებულ თარგმანებში ბერძნული ზმნური ფორმა **μεμενηκεισθαι** გადმოღებულია შედგენილი შემასწავლით **და-მცა-დგრომილ იყუნეს**. ფონეტიკური სახესხვაობით შედგენილი შემასწავნელი გვაქვს Ὡ რედაქციაშიც: ...**და-მცა-დგრომილ იყვნეს**. ძველ ქართულ თარგმანებში დადასტურებული შედგენილი შემასწავნელის (**და-მცა-დგრომი იყუნეს**) ზმნური

⁶ საინტერესოა, რომ ფორმალური შეთანხმებაა **ἦσαν** ზმნურ ფორმასა და **μεμενηκεισθαι** ზმნურ ყალიბში შემავალი მოქმედებითი გვარის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის **εἰσαν** (<εσσαν) დაბოლოებას შორის, მაგრამ მათ შორის არ არის სემანტიკური შეთანხმება.

ელემენტი იყუნეს უწყვეტლის მწკრივია. მასში გამოიყოფა S_3 პირის მრავლობითის -ეს ფორმანტი, რომელიც ეკვივალენტია თანამედროვე უწყვეტლის -ნენ სუფიქსისა. ამასთან, როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულში უწყვეტელი და მყოფადის ხოლმეობითი ფორმათა წარმო-ების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, მათ ფორმებს მხოლოდ ზმნისწინი განასხვავებს (იმნაიშვილი 1996: 78).

უწყვეტელი	მყოფადის ხოლმეობითი
აშენებდა	ააშენებდა
აშენებდნენ	ააშენებდნენ
წერდა	დაწერდა
წერდნენ	დაწერდნენ
მალავდა	დამალავდა
მალავდნენ	დამალავდნენ

მსგავსად იქნება პირველსა და მეორე პირშიც.

დავუბრუნდეთ ძველი და ახალი ქართულის ფორმათა ურთიერთმიმართებას. ძველი ქართულის უწყვეტლის ფორმა იყუნეს ეკვივალენტი შეიძლება იყოს თანამედროვე უწყვეტლის იყვნენ ფორმისა. ახალი ქართულის უწყვეტელი, როგორც აღვნიშნეთ, მყოფადის ხოლმეობითთან იზიარებს ფორმებს. შესაბამისად, მყოფადის ხოლმეობითიც შეიძლება წარმოდგეს ძველი ქართული უწყვეტლის შესატყვისად. ეს ასეც არის ბერძნული $\mu\epsilon\mu\omega\upsilon\kappa\epsilon\iota\sigma\tau\alpha\iota$ ფორმასთან მიმართებით. თანამედროვე ქართულ თარგმანში იგი გადმოღებულია მყოფადის ხოლმეობითით: ჩვენგან გავიდნენ, მაგრამ არ იყვნენ ჩვენგანნი, რადგან ჩვენგანნი რომ ყოფილიყვნენ, ჩვენთა დარჩებოდნენ (A, 1 იოან., 2, 19). აქ ბერძნული $\mu\epsilon\mu\omega\upsilon\kappa\epsilon\iota\sigma\tau\alpha\iota$ -ის შესატყვისი დარჩებოდნენ მყოფადის ხოლმეობითია. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ მსჯელობაში შეუძლებელი იყო ბერძნულის Plusquamperfectum ქართულის II შედეგობითით გადმოცემულიყო. აქ აუცილებელი იყო Plusquamperfectum შენაცვლებულიყო კონტექსტისათვის მისაღები მწკრივით. ასეთი ძველი ქართულისთვის

აღმოჩნდა უწყვეტელი, ხოლო ახალი ქართულისთვის – მყოფადის ხოლმეობითი.

შენიშვნა: მყოფადის კავშირებითის მწკრივი საანალიზო ტექსტებში არ დასტურდება.

წყვეტილი

კათოლიკე ეპისტოლეთა ტექსტების ფარგლებში ბერძნულ და ქართულ მწკრივთა ურთიერთმიმართების შესწავლისას ყველაზე მეტი სტაბილურობა ბერძნული Aorist-ისა და ქართული წყვეტილის მიმართებისას გამოიკვეთა. Aorist აბსოლუტურ უმრავლესობაში გადმოტანილია წყვეტილით, აქ სრული სტაბილურობაა. იშვიათ შემთხვევაში შეინიშნება მწკრივთა შენაცვლება, როდესაც ქართულის წყვეტილი არ გადმოსცემს ბერძნულ აორისტს. განვიხილავთ ზოგიერთ სპეციფიკურ შემთხვევას.

- ბერძნული **Imperfectum** გადმოიცემა **წყვეტილით**.

უწყვეტლის მწკრივის განხილვისას შენიშნული გვქონდა, რომ ბერძნული Aorist გადმოიცემოდა უწყვეტლის მწკრივით. ასეთი ნიმუშები ზემოთ დავიმოწმეთ. აქ კი შებრუნებული ვითარებაა – ბერძნული **Imperfectum** გადმოიცემა **წყვეტილით**. თუკი პირველი შემთხვევა მიუღებელ სემანტიკურ გადაწევებს იწვევდა, ასევეა აქაც. არ არის გამართლებული, როდესაც ორიგინალ ტექსტში გადმოცემული უსრული მოქმედება თარგმანში სრულასპექტიანი ზმნური ფორმით გადმოიცემა. განვიხილავთ რამდენიმე ნიმუშს.

იაკობის ეპისტოლეში ვკითხულობთ: οὐ **διακριθῆ** εν εαυτοις και **εγενεσθῃ** κριται διαλογισμων πονηρων? (B, იაკ., 2, 4). ქართული თარგმანი: განა არ **განასხვავეთ** თქვენს თავში და არ **გახდით** მსაჯულები ბოროტი გულისზრახვებით? (A, იაკ., 2, 4). **Διακριθῆ** S₂ პირის აორისტის ფორმაა მრავლობით რიცხვში და იგი სწორად არის გადმოღებული წყვეტილის მწკრივით **განასხვავეთ**, **Εγενεσθῃ** კი იმპერფექტის ფორმაა S₂ პირის მრავლობით რიცხვში და იგი გადმოცემულია იმავე წყვეტილის მწკრივით. უნდა გვქონოდა უწყვეტლის **ხდებოდით** ფორმა.

გვაქვს მეორე შემთხვევა იმპერფექტის წყვეტილის მწკრივით გადმოცემისა: σαι αυτοις, οτι τη αᾶ του καιν **επορευθησαν** και τη πλανη του βαλαμ μιςθου **εξεχυθησαν** και

τη αντιστοιχία του Κορε **απαλονται** (B, სდ., 1, 11). ქართული თარგმანი: ვაი მათ, რადგან კაინის გზით **წავიდნენ** და ბალაამივით საზღაურის საცდურს **აჰყვნენ** და კორესავით წინააღმდეგომობის გამო **დაიღუპნენ** (A, იუდ., 1, 11). **Επορευθησαν** და **εξεχυθησαν** ზმნები აორისტის ფორმებია და მათი ზუსტი შესატყვისია **წავიდნენ** და **აჰყვნენ**, რაც დასტურდება კიდევ თარგმანში. **Απαλονται** კი იმპერფექტის ფორმაა და მის შესატყვისად უნდა ყოფილიყო უწყვეტლის ფორმა **იღუპებოდნენ**, გვაქვს კი წყვეტილის ფორმა **დაიღუპნენ**. ამ შემთხვევაშიც ქართული თარგმანი გვერდს უვლის მწკრივთა შეთანხმებას და წყვეტილის მწკრივის გამოყენებით შემოაქვს ის ასპექტური ნიუანსი, რომელიც არ არის ბერძნულ ფორმაში. საინტერესოა, რომ ძველ ქართულ თარგმანებში ზუსტი შესატყვისებია, ბერძნული იმპერფექტი გადმოცემულია უწყვეტლის მწკრივით: ...და ცილობითა მით კორწსითა **წარწყმდეს** (C¹L⁵).

გვაქვს შემთხვევა, როდესაც ერთ წინადადებაში ბერძნული იმპერფექტი სისტემებრ გადმოდის წყვეტილის მწკრივით: **Ανετειλεν** γαρ ο ηλιος συν τω καυσσωνι και **εξεραυεν** τον χορτον και το ανθος αυτου **εξεπενεν** και η ευπρεπεια του προσηπου αυτου **απαλετο** (B, ιακ., 1, 11). ბერძნული ტექსტის ზუსტი თარგმანია: **ამოდიოდა** მზე მცხუნვარებით და **ახმოზდა** ბალახს, და დასცვივდა მას ყვავილი და მისი პირის მშვენიერება **განქარდებოდა**. ქართული ტექსტის ხაზგასმული უწყვეტლის ფორმები ზუსტი შესატყვისებია ბერძნული **Imperfectum** ფორმებისა – **Ανετειλεν, εξεραυεν, απαλετο**. რაც შეეხება A რედაქციის თარგმანს, იგი ისევ უარს ამბობს უწყვეტლის მწკრივზე და სისტემურად იყენებს წყვეტილის ფორმებს: რადგან **ამოვიდა** მზე მცხუნვარებით და **გაახმო** ბალახი და დასცვივდა მას ყვავილი და მისი პირის მშვენიერება **განქარდა** (A, იაკ., 1, 11).

ამდენად, ქართულ თარგმანში ბერძნული იმპერფექტი სისტემურად წყვეტილის მწკრივით გადმოდის. რამდენიმე სხვა ნიმუში: **Ελαβουμεν** (B, 2 სοαν., 1, 4) **მივიღეთ** (A, 2 იოან., 1, 4), უნდა იყოს – **ვიღებდით**; **Απεστειλεν** (B, 1 სοან., 4, 10) **მოავლინა** (A, 1 იოან., 4, 10), უნდა იყოს – **ავლენდა** (აგზავნიდა); **Ελαβετε** (B, 1 სοან., 2, 27) **მიიღეთ** (A, 1 იოან., 2, 27), უნდა იყოს – **იღებდით**; **Επηγγειλατο** (B, სοან., 2, 24) **აღვითქვა** (A, 1 იოან., 2, 24), უნდა იყოს – **აღვითქვამდა** და სხვა.

• ბერძნული **Perfectum** გადმოიცემა **წყვეტილით**

ბერძნული **Perfectum** გადმოსცემს ისეთ მოქმედებას, რომელიც წარსულში აღსრულდა და მისი შედეგი აწმყოში გვაქვს. მას ქართულში I შედეგობითი შეესაბამება. განსახილველ ტექსტებში გვხვდება ბერძნული Perfectum-ის წყვეტილით გადმოცემის არაერთი შემთხვევა. განვიხილავთ ორიოდ ნიმუშს:

εν τούτοις εστιν η αγαπη, ουχ οτι ημεις **εγαπηκαμεν** τον Θεον... (B, 1 ioaн., 4, 10). **Εγαπηκαμεν** პერფექტის S₁ პირის ფორმაა მრავლობით რიცხვში და უნდა ითარგმნოს როგორც **შეგვიყვარება**. ქართულ თარგმანში გვაქვს წყვეტილის ფორმა **შევიყვარეთ**: *ეს არის სიყვარული, რომ ჩვენ კი არ შევიყვარეთ ღმერთი...* (A, 1 ioaн., 4, 10). აქ სემანტიკური თვალსაზრისით არავითარი დაბრკოლება არ არის. ამ შემთხვევაში ბერძნულ პერფექტს თავისუფლად შეიძლება ჩაენაცვლოს წყვეტილის ფორმა, ფრაზის შინაარსი ამის საშუალებას იძლევა. შეიძლებოდა **Εγαπηκαμεν** I შედეგობითითაც გადმოცემულიყო, თუმცა, როგორც გამოჩნდა, A რედაქცია წყვეტილს მწკრივს ირჩევს.

Εις κρισιν μεγαλην ημερας δεσμοις αιδιοις υπο ζοφον **τετηροκην** (B, iad., 1, 6). ქართული თარგმანი: მარადიული საკვრელებით **დაიცვა** წყვდიადის ქვეშ დიდი ღვთის სამსჯავროსათვის (A, იუდ., 1, 6). ბერძნულსა და ქართულ ტექსტებში **τετηροκην** და **დაიცვა** ფორმები სემანტიკური შესატყვისებია, თუმცა მწკრივთა შორის შეთანხმება არ გვაქვს. ბერძნულში პერფექტის ფორმაა, რაც გულისხმობს იმას, რომ ღმერთს დაცემული ანგელოზები მარადიული საკვრელებით დაუცავს. ბერძნული ფორმა არ გულისხმობს მოქმედების დასრულებულობას, არამედ ანგელოზები დღესაც დაცული არიან, ანუ წარსულში განხორციელებული მოქმედების შედეგი დღესაც გრძელდება. ქართულის წყვეტილის ფორმაში კი აღნიშნული სემანტიკური ნიუანსი დაჩრდილულია. აქ თითქოს ნათქვამია, რომ მოქმედება წარსულში აღსრულდა და წარსულშივე დარჩა.

მსგავსი ნიმუშები: **Δεδωκεν** (B, 1 ioaн., 5, 20) **მოგვცა** (A, 1 ioaн., 5, 20), უნდა იყოს – **მოუცია**; **Ητηκαμεν** (B, 1 ioaн., 5, 15) **ვითხოვეთ** (A, 1 ioaн., 5, 15), უნდა იყოს – **გვითხოვია**; **Εδωκεν** (B, 1 ioaн., 5, 11) **მოგვცა** (A, 1 ioaн., 5, 11), უნდა იყოს – **მოუცია**;

εγωνακαμεν (B, 1 იოან., 4, 16) შევიცანით (A, 1 იოან., 4, 16), უნდა იყოს – შეგვიცვნია; πεποιτηκεν, πεποιτευκεν, μεμαρτυρηκεν (B, 1 იოან., 5, 10) წარმოაჩინა, ირწმუნა, დაამოწმა (A, 1 იოან., 5, 10), უნდა იყოს – წარმოუჩენია, ურწმუნია, დაუმოწმებია.

• ბერძნული **Praesens** გადმოიცემა წყვეტილით

საინტერესოა ერთი შემთხვევა, როდესაც ბერძნული Praesens გადმოდის წყვეტილის მწკრივით: πολλα ειχον γραφαι σοι αλλ ου **θελω** δια μελανος και καλαμου σοι γραφειν (B, 3 იოან., 1, 13). ბერძნული ტექსტის ზუსტი თარგმანია: შენთვის ბევრი **მქონდა მოსაწერი**, მაგრამ არ **მსურს** მელნით და კალმით **მოწერა**. შესიტყვებაში **ειχον γραφαι** წარსული დროა ასახული, რაზეც მიუთითებს, ერთი მხრივ, **ειχον** ზმნური ფორმა, რომელიც S₁ პირის იმპერფექტია მხოლოდობით რიცხვში და ნიშნავს **მქონდა** (უწყვეტელი) და, მეორე მხრივ, აორისტის მიმღეობა **γραφαι**, რომელიც ნიშნავს **წარსულში წერას**. მეორე ხაზგასმული შესიტყვება **θελω γραφειν** აწმყო დროს გადმოსცემს – **θελω** არის აწმყო დროის S₁ პირის მხოლოდობით რიცხვი – **მსურს**, ხოლო **γραφειν** – აწმყო დროის მიმღეობა, რომელიც ნიშნავს **ამჟამად წერას**. ბერძნული ტექსტის მიხედვით, იოანე მოციქული წერს: ბევრი **მქონდა მოსაწერი**, მაგრამ მელნით და კალმით **არ მსურს მოწერა**. ეს ზუსტი თარგმანის შემთხვევაში. A რედაქცია კი მეორე შესიტყვების **θελω γραφειν** თარგმნისას უარს ამბობს აწმყო დროზე და მოქმედება გადააქვს წარსულში, რასაც მხარს არ უჭერს ორიგინალი ტექსტი. აი, A რედაქციის თარგმანი: ბევრი **მქონდა მოსაწერი**, მაგრამ **არ ვისურვე**, მელნით და კალმით **მომეწერა შენთვის** (A, 3 იოან., 1, 13). შესიტყვება **θελω γραφειν**, რომელიც ახლანდელ დროს ასახავს, ქართულში გადმოტანილია წარსული დროის ფორმით.

გვაქვს კიდევ ერთი შემთხვევა: βλεπεις οτι η πιστις **συνηργει** τοις εργοις αυτου (B, 1აკ., 2, 22). A რედაქციის თარგმანია: ხედავ, რომ **რწმენა** შეეწია მის საქმეებს (A, 1აკ., 2, 22). ბერძნული **συνηργει** აწმყოს ფორმაა S₃ პირის მხოლოდობით რიცხვში და უნდა ითარგმნოს, როგორც **(შე)ეწევა**. წინადადების ზუსტი თარგმანი იქნება: ხედავ, რომ **რწმენა (შე)ეწევა** მის საქმეებს. საანალიზო ტექსტებში ზმნურ ფორმათა მსგავსი შენაცვლების სხვა შემთხვევა არ დასტურდება.

დასკვნა:

• **წყვეტილის** მწკრივით სისტემურად გადმოიცემა ბერძნული **Imperfectum**;

• ბერძნული **Perfectum** ხშირად გადმოიცემა **წყვეტილით**.

II კავშირებითი

ცნობილია, რომ ბერძნული ენის სინტაქსს ახასიათებს ინფინიტივური კონსტრუქციები. ბუნებრივია, კათოლიკე ეპისტოლეთა ბერძნული ტექსტები გამონაკლისი ვერ იქნებოდა. ტექსტების ანალიზმა ეს დაადასტურა. რაც შეეხება ბერძნულ ინფინიტივურ კონსტრუქციებთან ქართული ზმნური ფორმების მიმართებას, აქ ყველაზე მეტად გააქტიურებულია II კავშირებითის ფორმები. აღსანიშნავია, რომ II კავშირებითის ზმნური ფორმები იშვიათად გადმოსცემენ ბერძნულ კავშირებითებს, თუმც კი ტექსტებში სწორედ ეს კანონზომიერება უნდა დადასტურებულიყო. ამიტომ ასეთ იშვიათ შემთხვევებს, თუნდაც კანონზომიერს, გვერდს ვუვლით, ჩვენ უფრო ტენდენცია და რეგულარულობა გვაინტერესებს.

• **Praesens/Aoristus** ინფინიტივი გადმოიცემა **II კავშირებითით**

ა) Ποιῆσαι κρισιν κατα παντων και ελεγξαι πασαν (B, სდ., 1,15); *რათა აღასრულოს მსჯავრი ყველასათვის და ამხილოს მათგან ყოველი* (A, იუდ., 1, 15). Ποιῆσαι და ελεγξαι აორისტის ინფინიტივებია და ნიშნავს **აღსრულება** და **მხილება**. აორისტს აქ სახეობრივი მნიშვნელობა აქვს და არა დროითი. წინადადების ზუსტი თარგმანია: მსჯავრის **აღსრულება** ყველასათვის და ყველას **მხილება**.

ბ) Το δε δὲναμενω φυλαξαι υμας απταιστους και σθησαι κατενωπιον της διξης αυτου αμαμους εν αγαλιασει (B, სდ., 1, 24); *ხოლო იმას, ვისაც ძალუძს, დაგიცვათ თქვენ დაცემისაგან და უმანკონი სიხარულში დაგადგინოთ თავისი დიდების წინაშე* (A, იუდ., 1,24). ამ შემთხვევაშიც **φυλαξαι** და **σθησαι** აორისტის კავშირებითებია. ისინი ქართულ თარგმანში გადმოტანილია II კავშირებითის ფორმებით. სხვა ნიმუშები:

Υπομνησαι (B, სდ., 1, 5) **შეგახსენოთ** (A, იუდ., 1,5), ზუსტი თარგმანი – **შეხსენება**;

Αρξασθαι (B, 1 πετ., 4, 17) **დაიწყოს** (A, 1 პეტ., 4, 17), ზუსტი თარგმანი – **დაწყება**;

Ευρεθῆναι (B, 2 πετ., 3, 14) **აღმოჩნდეთ** (A, 2 პეტ., 3, 14),
ზუსტი თარგმანი – **აღმოჩენა**;

Υπαρχειν (B, 2 πετ., 3, 11) **იყოთ** (A, 2 პეტ., 3, 11), ზუსტი
თარგმანი – **ყოფნა**;

αμαρτανειν (B, 1 ιοαν., 3, 9) **სცოდოს** (A, 1 იოან., 3, 9),
ზუსტი თარგმანი – **შეცოდება**;

Πασχειν (B, 1 πετ., 3, 17) **გევნოთ** (A, 1 პეტ., 3, 17), ზუსტი
თარგმანი – **ვნება** და **სხვა**.

დასკვნა:

▪ II **კავშირებითის** მწკრივით რეგულარულად
გადმოღის ბერძნული **Praesens/Aoristus** ინფინიტივი.

I შედეგობითი

კათოლიკე ეპისტოლეთა ქართულ თარგმანში I
შედეგობითის მწკრივის 17 ზმნური ფორმა დასტურდება.
ზემოთ, წყვეტილის ნაწილში მსჯელობისას, განვიხილეთ
შემთხვევები, როდესაც ბერძნული პერფექტი გადმოიცემოდა
წყვეტილის მწკრივით. I შედეგობითთან დაკავშირებით
გვაქვს შებრუნებული მიმართება – ბერძნული აორისტი
გადმოღის I შედეგობითით. რამდენიმე ნიმუში:

Αγαπητοι, συν τεκνα Θεου εσμεν, και οπισω **εφανερωθη** τι
εσομεθα (B, 1 ιοαν., 3, 2); *საყვარელნო, ახლა ღვთის შვილები
ვართ და ჯერ არ განცხადებულა, რანი ვიქნებით* (A, 1 იოან.,
3, 2).

Παιδια, εσχατη ωρα εστιν, και καθως **ηκουσατε** (B, 1 ιοαν., 2,
18); *ყრმანო, უკანასკნელი ჟამია და როგორც გსმენიათ* (A, 1
იოან., 2, 18).

ორივე ბერძნულ წინადადებაში გვაქვს აორისტის
ფორმები **εφανερωθη** და **ηκουσατε**. მათი ქართული
შესატყვისებია **განცხადებულა** და **გსმენიათ**. აორისტის
ფორმები უნდა თარგმნილიყო წყვეტილით: **განცხადდა**
და **გესმათ**, მაგრამ A რედაქცია არჩევანს I შედეგობითის
ფორმებზე აკეთებს. სხვა ნიმუშები: **εγραψα** (B, 1 ιοαν., 2, 21)
მომიწერია (A, 1 იოან., 2, 21), უნდა იყოს – **მოგწერე**; **Επιουσην**
(B, 1 πετ., 2, 22) **ჩაუდენია** (A, 1 პეტ., 2, 22), უნდა იყოს –
ჩაიდინა და **სხვა**.

დასკვნა:

▪ I შედეგობითით გადმოიცემა ბერძნული **Aoristus**.

II შედეგობითი

II შედეგობითის მწკრივი ტექსტში 9-ჯერ არის გამოყენებული. კვლევამ გამოავლინა, რომ II შედეგობითი ყოველთვის გადმოსცემს ბერძნულ ინფინიტივებს. ეს წესი სტაბილურადაა გატარებული. დავიმოწმებთ რამდენიმე შემთხვევას:

Ηλιας ανθρωπος ην ομοιοπαθης ημιν, και προσερχη προσηυξάτο του μη **βρεξαι** (B, ιακ., 5, 17); *ელია ადამიანი იყო, ჩვენი მსგავსი, და ღოცვით ილოცა, რომ არ ეწვიმა* (A, იაკ., 5, 17).

Πολλα ειχον γραψαι σοι αλλ ου θελω δια μελανος και καλαμου σοι **γραφειν** (B, 3 ιοαν., 1, 13); *ბევრი მქონდა მოსაწერი, მაგრამ არ ვისურვე, მელნით და კალმით მომეწერა შენთვის* (A, იოან., 1, 13).

Αγαπητοι, πασαν σπουδην ποιουσμενος **γραφειν** υμιν περι της κοινης εμων σωτηριας; αναγκην εσχον **γραψαι** υμιν (B, ιωδ., 1, 3); *საყვარელნო, მთელი გულმოდგინება გამოვიჩინე, მომეწერა თქვენთვის ზოგადად ხსნის შესახებ; საჭიროდ მივიჩნიე, მომეწერა თქვენთვის* (A, იუდ., 1, 3).

Κρειττον γαρ ην αυτοις μη επεγνωκεναι την οδον της δικαιοσυνης η επιγνουςιν **υποστρεψαι** (B, 2 πετ., 2, 21); *რადგან უმჯობესი იყო მათთვის, არ შეეცნოთ გზა სიმართლისა, ვიდრე შეეცნოთ და პირი ებრუნებინათ* (A, 2 პეტ., 2, 21).

ყველა დამოწმებულ ნიმუშში ხაზგასმული ერთეულები ინფინიტივური ფორმებია, რომლებიც ქართულში რეგულარულად გადმოდის II შედეგობითის მწკრივით.

დასკვნა:

▪ II შედეგობითი შესატყვისია ბერძნული ინფინიტივებისა.

III კავშირებითი

კათოლიკე ეპისტოლეთა ქართულ თარგმანში III კავშირებითის ერთი ფორმა დასტურდება: *ჩვენგან გავიდნენ, მაგრამ არ იყვნენ ჩვენგანნი, რადგან ჩვენგანნი რომ ყოფილიყვნენ, ჩვენთან დარჩებოდნენ* (A, 1 იოან., 2, 19). შესაბამისი ბერძნული ტექსტია: *ἐξ ἡμῶν ἐξ ἡλθῶν ἀλλ οὐκ ἦσαν ἐξ ἡμῶν, εἰ γὰρ ἐξ ἡμῶν ἦσαν, μεμενηκεισαν ἀν μεθ ἡμῶν* (B, 1 ιοαν., 2, 19). ბერძნული **ἦσαν** იმპერფექტის S_3 პირის ფორმაა მრავლობით რიცხვში და ნიშნავს **იყვნენ**. ბერძნული **ἦσαν** უწყვეტლის მწკრივით არ გადმოტანილი ძველ ქართულ თარგმანებში: *ჩუენგან განვიდეს, არამედ არა იყუნეს*

ჩუენგანნი; უკუეთუმცა იყუნეს ჩუენგანნი, და-მცა-დგრომილ იყუნეს ჩუენ თანა (C¹L, 1 იოან., 2, 19). A რედაქციის ტექსტში კი III კავშირებითის ფორმა გამოყენებული. საინტერესოა, რომ ამავე წინადადების დასაწყისში გამოყენებული **იჲაჲ** ფორმა A რედაქციაში გადმოცემულია უწყვეტლის მწკრივით – **იყვნენ**. ძველ თარგმანებში იჲაჲ ორივე შემთხვევაში გადმოდის უწყვეტლის მწკრივით – **იყუნეს**. თავის მხრივ, უწყვეტლის მწკრივის **იყვნენ** აწმყოს კავშირებითის საზიარო ფორმაა. საინტერესოა, რომ III კავშირებითის ზმნური ფორმა (**ყოფილიყვნენ**) კომპოზიტურია, რომლის მეორე კომპონენტი (**იყვნენ**) ფორმოზრივ თანხვედრაშია ბერძნული **იჲაჲ**-ის შესატყვის **იყვნენ** ზმნასთან. ვფიქრობთ, ფორმათა ასეთი დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს. საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს.

დასკვნა:

▪ ბერძნულ ტექსტში დადასტურებული **იმპერფექტის იჲაჲ** ზმნური ფორმა ქართულში გადმოტანილია **III კავშირებითის** მწკრივით.

საანალიზო ტექსტებში გამოყენებული ზმნური ფორმები მწკრივების მიხედვით ასე გადანაწილდა:⁷

აწმყო - 517, უწყვეტელი - 32, აწმყოს კავშირებითი - 52, მყოფადი - 165, მყოფადის ხოლმეობითი - 1, მყოფადის კავშირებითი - 0, წყვეტილი - 324, II კავშირებითი - 93, I შედეგობითი - 17, II შედეგობითი - 9, III კავშირებითი - 0.

გამოყენებული ლიტერატურა

ახალი აღთქმა 2016: ახალი აღთქმა, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2016.

ლორთქიფანიძე 1956: ქ. ლორთქიფანიძე, კათოლიკე ეპისტოლეტა ქართული ვერსიები (X-XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით), თბილისი, 1956.

ურუშაძე 1987: ა. ურუშაძე, ძველი ბერძნული ენის გრამატიკა, თბილისი, 1987.

ფანჯიკიძე 1988: დ. ფანჯიკიძე, თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 1988.

შანიძე 1976: ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976.

შანიძე 1980: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებები 12 ტომად, III, თბილისი, 1980.

⁷ცხრილი მოიცავს სტატიის პირველ ნაწილში განხილულ მწკრივებსაც.

Aland... 1993: The Greek New Testament, IV revised edition, Stuttgart, 1993.

Вольф... 2002: Ф. Вольф, К. Малинаускене, Древнегреческий Язык, Часть первая, Москва, 2002.

Вольф... 2004: Ф. Вольф, К. Малинаускене, Древнегреческий Язык,, Часть вторая, Москва, 2004.

Вольф... 2004: Ф. Вольф, К. Малинаускене, Древнегреческий Язык,, Часть третья, Москва, 2004.

Ньюман 2002: Б. Ньюман, Греческо-русский словарь нового завета, Москва, 2002.

David Iobidze

**INTERRELATION OF TENSE PARADIGMS
OF CATHOLIC EPISTLES
IN ANCIENT GREEK AND GEORGIAN VERSIONS
(PART II)
Summary**

Translation of Holy Scripture is a specific phenomenon. It has a centuries-old history in the Georgian translation tradition.

In the paper, the author deals with the issues of the relationship between ancient Greek and Georgian verbal forms. Based on the textual material, the author analyzes the specific cases of correspondence of each Georgian form and their corresponding ancient Greek verb forms in the text.

The author analyzed seven Catholic epistles included in the corpus of the New Testament of the Holy Scriptures as an analysis text. The original text is ancient Greek (hereafter - Greek). The author uses its critical version: THE GREEK NEW TESTAMENT, DEUTSCHE BIBELGESELLSCHAFT UNITED BIBLE SOCIETIES (IV revised edition), according to the 1994 edition. Due to the large volume of the material, the author offers the reader the paper in two parts. In the first part the author discusses the Praesens, Imperfectum and Praesens Coniunctinus forms.

ნინო ხახიაშვილი

**გამონათქმისათვის:
„იდუმალი „გულის კაცი“**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის 2021 წლის საშობაო ეპისტოლეში ვკითხულობთ: „როგორც ეკლესიის მამები გვაფრთხილებენ: არ უნდა დაგვაბრმავოს არაფერმა, მითუმეტეს ჩვენმა ამქვეყნიურმა წარმატებამ, – ჩვენი გონების, ნების, შემოქმედების უნარმა. ყური უნდა მივაპყროთ **ჩვენს იდუმალ „გულის კაცს“ (სინდისს)** (1 პეტრე 3,4), გავეცნოთ წმინდა წერილს, მამათა სწავლებას და საკუთარ სულში მოვიძიოთ ის, რაც ღვთისაა, რომელიც არის **ჩვენი რეალური „მე“**. თუ ამას შევძლებთ, ყველა ის სიკეთეც, რასაც ცხოვრებაში მივაღწიეთ, გახდება ჩვენი სულიერი წარმატების თანაზიარი და ჩვენი განდმრთობის ხელშემწყობი... ეს არის უმთავრესი, – საკუთარ თავში განწმენდა საღვთო ხატებისა და მიმსგავსება ღვთისა“ (კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 2021).

უწმინდესის ეპისტოლეში დამოწმებულია პეტრე მოციქულის შემდეგი სიტყვები [მოგვაქვს შედარებით სრული ამონარიდი]: „...იყავნ არა გარეშითა მით განთხზვითა თმათაფთა და შესხმითა ოქროფსაფთა... არამედ **დაფარული იგი გულისა კაცი**, უხრწნელითა მით მშვიდისა მის და მყუდროფსა სულისა წესითა, რომელ არს წინაშე ღმრთისა ფრიად პატიოსან“... (1 პეტრე 3,4).¹

¹ თანამედროვე ქართულით: „ზედაპირული ნუ იქნება თქვენი მშვენება: თმის ნაწნავებში, ოქროს სამკაულებსა ან ჩაცმულობაში, არამედ, **შინაგან, დაფარულ კაცში, უხრწნელ სილამაზეში, ფაქიზ და მშვიდ სულში**, რაც ესოდენ ძვირფასია ღმერთის წინაშე“...

პეტრე მოციქულის ეპისტოლეს დედანში (ბერძნულში) შესაბამის ადგილას, **დაფარული გულის კაცი**-ს შესატყვისად არის: ο krvptos kardias tes antropos, სლავურში: потаенный сердца человек...

როგორც წმინდა მამები აღნიშნავენ, ეპისტოლეებში პეტრე მოციქულის „**დაფარული გულის კაცი**“ იგივეა, რაც პავლე მოციქულის „**შინაგანი კაცი**“: შდრ.: „რამეთუ თანამნებას მე შეჯულსა ღმრთისასა **შინაგანითა მით კაცითა**“... (რომაელთა 7,22); იქვე **შინაგანი კაცის** აღსანიშნავად (მის სინონიმად) ნახმარია სიტყვა **გონება**²: „აწ უკუე თავადი მე **გონებითა** ჩემითა ვჰმონებ რჩულსა ღმრთისასა, ხოლო ჯორცითა შეჯულსა ცოდვისასა“ [„მეთვითონ (ერთი და იგივე კაცი), გონებით ღვთის სჯულს ვმონებ, ხორციტ კი – ცოდვისას“] (რომაელთა 7,25); „დაღაცათუ **გარეშე ესე კაცი**“³ ჩუენი განიხრწნების, არამედ **შინაგანი**⁴ განახლდების დღითი დღედ“... (2 კორინთელთა 4,16).

პავლე მოციქულის ეს სიტყვები ხშირად გვხვდება წმიდა მამათა სწავლებებში, წმიდა მამები ხშირად იმოწმებენ მათ⁵

ნეტარი ავგუსტინე თავის „აღსარებანში“ იყენებს გამოთქმას – „**შინაგანი კაცი**“, რომელიც პავლეს ეპისტოლეებში დასტურდება.

ამონარიდი ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებიდან“: „კი მაგრამ, რა არის ღმერთი? ვკითხე მიწას, და მან მომიგო: „მე არა ვარ ღმერთი“. და მიწის ყოველმა მკვიდრმაც იგივე აღიარა. ვკითხე ზღვას, უფსკრულს, და მათში მობინადრე ქვეწარმავალთაც. მათაც მომიგეს: „ჩვენ არა ვართ ღმერთი;

² **გონება** – „გული“, „გონიერება“, აზრი, ზრახვა; ზნე-ჩვეულება; „გაგონება“, ფიქრი, მიჩნევა, ზრახვა; „მოგონება“, **გულის-ზრახვა** (ილ. აბულ.). **სინდისი** (აჟ. შან.)“ (შეერთებული ლექსიკონი 2008). [აქაც და სხვაგანაც ხაზგასმად ჩვენია, ნ. ხ.]

³ **გარეგანი კაცი** – სხეული ადამიანისა... **გარეშე კაცი** იგივეა, რაც **გარეგანი კაცი** (შეერთებული ლექსიკონი 2008).

⁴ **შინაგანი კაცი** – სული, ბუნება (ადამიანისა), შდრ. **გარეგანი კაცი** (შეერთებული ლექსიკონი 2008).

⁵ სინურ მრავალთავში **გარეგანი კაცის** და **შინაგანი კაცის** ნაცვლად [მის აღსანიშნავად] დასტურდება გამოთქმები: **გარეშე კაცობად** და **შინაგანი კაცობად**: „რავდენ **გარეშე ესე კაცობად** ჩუენი გარდაიქცის და მოუძღურდის, **შინაგანი ესე კაცობად** ჩუენი განახლდის და განძლიერდის დღითი დღედ“... [იოვანე ოქროპირი, „მარხვისათჳს და იონაჲსთჳს“] (სინური მრავალთავი 109, 6,7). [შდრ.: ზემომოყვანილი ეპისტოლე პავლე მოციქულისა კორინთელთა მიმართ].

ეძიე ჩვენს ზემოთ“... ვკითხე ბოლოქარ ქარებს და მთელმა ჰაეროვანმა სივრცემ, თავისი ბინადრებითურთ პასუხად მითხრა: „ანაქსიმე ცდება, მე არა ვარ ღმერთი“. ვკითხე ცას, მზეს, ვარსკვლავებს: „არა ვართ ღმერთი; რომელსაც ეძებ“, – იყო პასუხი. მაშინ დავეკითხე ყველაფერს, რაც გარს არტყია ჩემს სხეულს: „მითხარით რამე ჩემს ღმერთზე, – თქვენ ხომ არა ხართ იგი, – რამე მაინც მითხარით მასზე“. და მათაც შემომდლადეს: „ჩვენ კი არა, ჩვენი შემოქმედი, – აი, ვინ არის ღმერთი!“

...მაშინ ჩემსავე თავს მივუბრუნდი და ვკითხე: „ვინ ხარ შენ?“ და მან მომიგო: „ადამიანი!“ აჰა, **ჩემი ხორცი და ჩემი სული**, ჩემდა სამსახურად გამზადებულნი, ერთს **გარეგან გარსს** რომ ეუწოდებთ, ხოლო მეორეს – **შინაგან არსს**. ამ ორთაგან რომელსა ვკითხო, ვინ არის ჩემი ღმერთი-მეთქი, ვისაც ამდენ ხანს ვეძებდი, მიწიდან მოყოლებული ვიდრე ზეცამდე, სადამდისაც კი შემემლო მიმეწვდინა ჩემი თვალის სხივები? რა თქმა უნდა, უმჯობესია, ჩემს **შინაგან არსს** ვკითხო, ყველა ხორციელმა მაცნემ უკვე აუწყა ჩემს სულს, ჰეგემონსა და მსაჯულს, როგორც ცისა და მიწის, ისე ყოველივე ზეციურის თუ მიწიერის პასუხი: „არა, ჩვენ კი არა, ჩვენი შემოქმედი, – აი, ვინ არს ღმერთი“. **შინაგან კაცს გარეგანმა** აუწყა ის, რომელიც არის მისი მსახური. **ჩემმა სულმა, ანუ ჩემმა შინაგანმა „მე“-მ** ხორციელი გრძნობების მეშვეობით შეიტყო თავისი კითხვის პასუხი. ვკითხე მთელ სამყაროს და ჩემი ღმერთის ამბავი და მანაც პასუხად მითხრა: „არა, მე კი არა, ჩემი შემოქმედი, – აი, ვინ არს ღმერთი“... (აღსარებანი, 214-215).

გამონათქვამი – **შინაგანი კაცი გულისად** გვხვდება ფსევდომაკარის თხზულებაშიც:

„**ხილულნი სახე არიან უხილავთა**, რამეთუ ვითარცა თითოეულსა ჩუენგანსა თანა ორნი კაცნი არიან – **ერთი ჯორცთად და მეორე იგი სულისად**, ეგრეთვე მაშინ **ხილული იგი კაცი ხილულსა სამოთხესა** შინა იშუებდა და **შინაგანი იგი კაცი გულისადუხილავსა მას საცნაურსა** წმიდათა ანგელოზთა სამოთხესა იშუებდა...“⁶ (ფსევდომაკარი 1982: 200).

⁶ „და ხც იგი ხილული იყო, რომლისად არა უბრძანა ღმერთმან ჰამად მისგან, რამეთუ ყოვლისავე ხილულისა მეუფედ დაადგინა იგი ღმერთმან და მის ერთისა ხისად ოდენ არა მისცა ჯელმწიფებად განგებულებით, რადთა აქუნდეს იგი მოსაქსენებელად სამეუფოდა მის პატივისა და უწყოდის, ვითარმედ არს უზეშთაესი მისა დამზადებელი მისი და რადთა არა მოვიდეს სიმაღლედ თვთუფლების მისისათჳს

შეგვიძლია აგრეთვე დავიმოწმოთ ბასილი კესარიელის [გარდაიცვალა 379 წელს, 49 წლის ასაკში] „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, რომელიც გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ციალა ქურციკიძემ: **„შინაგანი კაცი 134,19 სული, ბუნება (ადამიანისა)“**: „...სულიერისა საზრდელისათეს იტყოდა [წინადაწარმეტყუელი], რომლისა მიერ **შინაგანი კაცი** ჩუენი სრულ იქმნების“... 134,19: „...ვინადთგან **კაცი ორკეცი არს**, ვითარცა-იგი მოციქული იტყვს⁷ / **ერთი ესე გარეგანი და მეორე – შინაგანი, ერთი ესე ხილული და მეორე – უხილავი...**“ [XII. თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი დაწყებისათეს სოლომონის იგავთაჲსა] (ქურციკიძე 1983: 268).

იქვე, ლექსიკონში არის განმარტება: **გარეგანი კაცი** სხეული ადამიანისა: **„გარეგანი კაცი** განპოხებული“ 18, 32: [„რამეთუ აჰა ესერა დღენი მოვლენან, იტყვს უფალი, და მოვაწიოქუეყანასაამსზედასიყმილი, არასიყმილიპურისად, არცა წყურილი წყლისად, არამედ სიყმილი სმენად სიტყვსა უფლისად“, რომელი-იგი ამისთეს მოაწია მართალმან მან მსაჯულმან, რამეთუ ხედვიდა გონებასა მათსა საზრდელითა მით ჭეშმარიტებისა სწავლათაჲთა მოყმობილი და **გარეგანი კაცი** განპოხებული“] (II. მარხვისათესვე, თავი ბ. გვ. 18, 28-33); 59, 21: „რადჲომცა **გარეგანი კაცი** განიხრწნებოდის, **შინაგანი** განახლდების“⁸ [VI. ვითარმედ არა არს ღმერთი მიზეზი ბოროტთად] (ქურციკიძე 1983).

გარეგანი კაცის, ანუ სხეულის მნიშვნელობით ტექსტში დასტურდება **გარეშე კაციც** [ისევე, როგორც ეს პავლე მოციქულის ეპისტოლეშია]: „ამას იტყვის მოციქული, ვითარმედ: „რადჲომ **გარეშე კაცი** ჩუენი განიხრწნების,

და ეგონოს თავი თვისი, ვითარმედ ღმერთი არს. ...ხოლო დაუტევა რად მან სიტყუად იგი ღმრთისად და ისმინნა სიტყუანი იგი მტერისანი და ჭამა ხისა მისგან და ეუფლა ნაყოფისა მიერ, რომელმან-იგი აცთუნა გუელისა მიერ და შევიდა მის თანა სიკუდილი, რომელ-იგი არს გონებაჲ ჳორციელი, ვითარცა წერილ არს, და ესრეთ ღუარძლი იგი ვნებათად დაითესა მტერისა მიერ სულსა შორის და ჳორცთა“... (ფსევდომაკარი 1982: 200) [ტექსტის ძველი ქართული თარგმანი ეკუთვნის ექვთიმე ათონელს, X ს.].

⁷ შდრ.: II კორინ. 4,16: „ამისათეს არა გუეწყინების, არამედ დაღაცათუ **გარეშე ესე კაცი** ჩუენი განიხრწნების, არამედ **შინაგანი** განახლდების დღითი დღედ“...

⁸ შდრ.: II კორინ. 4,16.

უფროსად შინაგანი განახლებების“⁹, და კუალად იტყვის: „რაჟამს უძლურ ვიყო, მაშინ ძლიერ ვარ“¹⁰ .. (ქურციკიძე 1983: 228). ტექსტის მკვლევარი და გამომცემელი ცილა ქურციკიძე აღნიშნავს: „ქართულ ტექსტში ადამიანის შინაგანი ბუნებისა და გარეგნობის¹¹ აღსანიშნავად, შესაბამისად, ნახმარია „შინაგანი კაცი“ და „გარეგანი კაცი“. ამგვარი აღნიშვნაც ამ ცნებებისა ბერძნულის კალკია“. შესატყვისად ბერძნულში გვაქვს ο“ eso antropos და ο“ exo antropos“... (ქურციკიძე 1983: 064).

როგორც წმიდა ამბროსი მედიოლანელი¹² აღნიშნავს, „მოგვიანებით, როცა მე ვკითხულობდი პეტრე მოციქულის ეპისტოლეებს, ყურადღება მივაქციე, რომ ნებისმიერი ბრძენი [გონიერი = мудрый] ადამიანი მდიდარიცაა, ...რადგან ბრძენი [გონიერი = умный] არ ეძებს სიმდიდრეს თავისთვის გამოსაყენებლად. ასევე პეტრე მოციქულმა მოხდენილად უწოდა მას [ბრძენ/გონიერ ადამიანს] დაფარული [იდუმალი] გულის კაცი [= сокровенным человеком сердца], რადგანაც სიბრძნის სრულიადი კაცი [= весь человек мудрости] დაფარულია [იდუმალია = является сокровенным], როგორც

⁹ შდრ.: II კორინ. 4,16.

¹⁰ შდრ.: II კორინ. 12, 9-10: „9. და მრქუა [უფალმან]: კმა არს შენდა მადლი ჩემი, რამეთუ ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების, უმჯობესდა უკუე და უფროს ვიქადი უძლურებათა შინა ჩემთა, რამთა დაიმკვიდროს ჩემთანა ძალმან ქრისტესმან. 10. ამისთვის სათნო-მიჩნს უძლურებათა შინა, გინებათა, ჭირთა, დევნულებათა და იწროებათა ქრისტესთვის, რამეთუ რაჟამს მოუძლურდე, მაშინ განვძლიერდები“...

¹¹ ანუ სულისა და სხეულისათვის [ნ. ხ.].

¹² წმინდა ამბროსი მედიოლანელი „ასევე ცნობილია იმით, რომ მისი ლოცვით ღმერთმა ნეტარი ავგუსტინე მოაქცია. ნეტარი ავგუსტინე, ეს უდიდესი პიროვნება, სიჭაბუკეში ქრისტიანი არ იყო და აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა. 16 წლის ჭაბუკს უკვე უკანონო შვილი ჰყავდა. დედამისი ცრემლით ევედრებოდა უფალს შვილის გადარჩენას. ერთხელ დედა წმინდა ამბროსისთან მივიდა და ცრემლით ევედრებოდა: „უშველე ჩემს შვილს!“ წმინდანმა ჰკითხა: „ცრემლით თუ ლოცულობ შენი შვილისთვის?“ და როდესაც დედისგან დასტური მიიღო, მიუგო: „მაშინ შეუძლებელია, რომ დედის ცრემლი დაიკარგოს ღვთის წინაშე, შენი შვილი ამბროსისთან მივიცევა“. სწორედ ამ დროს ნეტარმა ავგუსტინემ, თვითონაც არ იცოდა რატომ, ხელში აიღო სახარება და კითხვას შეუდგა. მადლი გადმოვიდა მასზე, დაინახა საკუთარი თავი და ტირილი და გოდება იწყო! სახარებით ხელში გავიდა ზაღში და იქ ცრემლით ინანიებდა ცოდვებს. ასე მოხდა ნეტარი ავგუსტინეს მოქცევა და ეს არის დამსახურება წმინდა ამბროსი მედიოლანელისა“... (ამონარიდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის 2009 წლის ქადაგებიდან).

თვით სიბრძნე, რომელიც არ ჩანს, მაგრამ შეიცნობა. არავის პეტრე მოციქულამდე არ უსარგებლია ასეთი გამოთქმით – „**გულის კაცი**“... (წმ. ამბროსი მედიოლანელი).

2023 წელს გამოცემულ „გულის ლექსიკონში“ გულის კაცი ასეა განმარტებული: „გულის კაცი ძვ. შინაგანი „მე“, „სინდისი“. ხედვიდენ რად იგინი შიშით წმიდასა მას სლვასა თქუენსა, რომელი იყავნ არა გარეშითა მით განთხზვითა თმათაჲთა და შესხმითა ოქროდსაჲთა, გინა შემოსითა სამოსლისაჲთა შემკობაჲ, არამედ **დაფარული იგი გულისა კაცი**, უზრწნელითა მით მშჯდისა მის და მყუდროდსა სულისა წესითა, რომელ არს წინაშე ღმრთისა ფრიად პატიოსან“... (1 პეტრე 3, 2-4). „არ უნდა დაგვაბრძავოს არაფერმა, მითუმეტეს ჩვენმა ამქვეყნიურმა წარმატებამ, – ჩვენი გონების, ნების, შემოქმედების უნარმა. ყური უნდა მივაპყროთ ჩვენს **იდუმალ „გულის კაცს“ (სინდისს)** (1 პეტრე 3,4), გავეცნოთ წმინდა წერილს, მამათა სწავლებას და საკუთარ სულში მოვიძიოთ ის, რაც ღვთისაა, რომელიც არის **ჩვენი რეალური „მე“** (პატრ.)“ (გულის ლექსიკონი 2023).

ვფიქრობთ, დღევანდელ ქართულში დამკვიდრებული გამოთქმები: **გულისხმა, გულისსიტყვა, გულისთქმა, გულისპასუხი, ღულის კარნახი (გულის კარნახით)**... და ა. შ.¹³ ელიფსური შესიტყვებებია, რომელშიც დაიკარგა [და იგულისხმება] „შინაგანი კაცი“ ანუ „გულის კაცი“ [ძვ. „შინაგანი მე“; „სინდისი“]. სავარაუდოდ, იქნებოდა [უნდა ყოფილიყო]: „**შინაგანი კაცის ანუ დაფარული (იდუმალი) გულის კაცის ხმა**“; „**შინაგანიკაცის ანუ დაფარული (იდუმალი) გულის კაცის პასუხი**“; „**შინაგანი კაცის ანუ დაფარული (იდუმალი) გულის კაცის კარნახით**“ და ა. შ...

ვფიქრობთ, ასევე ელიფსური შესიტყვებაა „**შინაგანი კაციც**“, რომელშიც დაიკარგა [და სავარაუდოდ იგულისხმებოდა] **გული** [შდრ.: შინაგანი [დაფარული, იდუმალი] კაცი გულისაჲ].

ე.ი. გამოთქმა: „**იდუმალი „გულის კაცი**“ იგივე **დაფარული [შინაგანი] კაცი გულისაჲ** ძვ. შინაგანი „მე“,

¹³ **გულისხმა** „1. მიხვედრა, გაგება; ჭკუა, გონება“... **გულისსიტყვა** – „გულისთქმის გამომხატველი სიტყვა“; **გულისთქმა** – „მოიერი სურვილი, მისწრაფება, გრძნობა, ზრახვა, გულისწადილი, განცდა“; **გულისპასუხი** – „გულში ჩამარხული რამ ფიქრი, დაფარული განზრახვა, სურვილი, – გულისთქმა, გულისხნადები“; **ღულის კარნახი (გულის კარნახით)** – „რასაც გული ეტყვის“... (ქეგლ 2010).

„სინდისი“, „გონი“, „ბუნებითი სჯული“ ქართულში ორი ელიფსური შესიტყვებით შემორჩა: **„შინაგანი კაცი“** (რომელიც ბიბლიური ტერმინია და, შესაბამისად, ბერძნულის კალკია) და გახალხურებული: **გულისხმა** (მგ. **გულის-ხმა**, **გულის-ჴმა** – „გულის-ჴმის-ყოფა“, „გულის-სიტყუა“, „გულის-თქუმა“, სიბრძნე, გონება; **გულის-თქუმა** – „გულის-მთქუმელობა“ „თნევა“, სურვილი, ნატვრა, „გულის-სიტყუა“, „გულის-ჴმა“; **გულის-სიტყუა** – 1. „წადილი“, სურვილი, ტუტუნი, „დასულება“. 2. „გულის-თქუმა“, „გულის-ჴმა“, „ზრუნვა“, „დასრულება“, ზრახვა, აზრი, ფიქრი; **გულის-ზრახვა** – „ფიქრი, „გონება“; **სიტყუა** – 1. თქმა, „საუბნარება“, მეტყველება, თხრობა...; **საუბნარი** – სიტყვა; **საუბნარება** – „სიტყუა“; პასუხი – „სიტყუა“... (აბულაძე 1973),].

და ბოლოს, ერთი საინტერესო ნიმუში იმისა, თუ როგორ აისახა ეს ბიბლიური ცოდნა ქართულ მწერლობაში, – კერძოდ, ვაჟა-ფშაველას პოეზიაში:

ძმის – აბელის – მკვლელ კაენს „შუა გზაში დაეცა თავში ლოდისა მსგავსი **უჩინო არსი**. ჩავიდა გულში, ჩაუძვრა სულში, მთელს მის არსებას ჩაავლო ბრჯღალი. უწყალო არი, სახე აქვს მწყრალი, ვისაც ეწვევა, ვაჰ, მისი ბრალი!.. ამბობს ენითა – ქენჯნა-კბენითა, ხან ტირილს იწყებს ცრემლის დენითა. ჰბაქავს და ებრძვის **ხმა იდუმალი**: „ბედკრულო! აბელ რისთვის მოჰკალი?!“

კაენი სამდურავით მიმართავს ღმერთს: „ეს დამაშორე, მეუფე, შენა, რამაც ჩემს გულში აიდგა ენა“...

ხმა ციდან **„ჩემ მაგიერი ხმა ცნობიერი** მოგეც დარაჯად, გეგრძნო არ ავად; კეთილის მრჩეულად იგი გყოლოდა, შენ ყური გეგდო მისთვის მხოლოდა... ცხოველი ყველა, განიცდის იმ ხმის რჩევას და ძალსა. ზოგი ყურს უგდებს, სხვა ჰხუჭავს თვალსა. ყურსაც იყრუებს, მას ასუსუებს, და **ის მებრძოლი ჩვენს გულში ღმერთი** მოკვალით კაცთა... **ხმა ეს** ხალხს ებრძვის, **სვინიდიის** – ხალხი, – მაზედა ბრუნავს ამ სოფლის ჩარხი“ (ვაჟა-ფშაველა, „სვინიდიისი“, 1964: 225).

საგულისხმოა, როგორ საინტერესოდ (გენიალურად) გადმოსცემს ვაჟა-ფშაველა მთელ ბიბლიურ ცოდნას: სინდისი, – როგორც პოეტი ამბობს, – **„უჩინო არსი“**, **„ხმა იდუმალი“**, **„ხმა ციდან“**, **„ჩემ მაგიერი“**¹⁴ **„ხმა ცნობიერი“**...

¹⁴ „ჩემმაგიერი“ ანუ, უფლისმიერი, ხმა ღვთისა.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1973: ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 1973.

აღსარებანი 2013: ნეტარი ავგუსტინე, აღსარებანი, თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ.ბრეგვაძემ, თბილისი, 2013.

ბიბლია 2015: ბიბლია. ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბილისი, 2015.

გულის ლექსიკონი 2023: რედაქტორი ავთანდილ არაბული, შემდგენლები: ავთ. არაბული, მ. ტუსკია, ლალი ბინიაშვილი, ნინო ხახიაშვილი, თბილისი, 2023.

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IV, თბილისი, 1964.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 2009: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის 2009 წლის ქადაგება. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, N40 (526), თბილისი, 2009.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 2021: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის 2021 წლის საშობაო ეპისტოლე, თბილისი, 2021.

სინური მრავალთავი 1975: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 17. ივანე იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი. თბილისი, 1975.

ფსევდომაკარი 1982: ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია [ტექსტის ძველი ქართული თარგმანი ეკუთვნის ექვთიმე ათონელს, X ს.]. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები IV, თბილისი, 1982.

ქეგლ II, 2010: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II (გ), ახალი რედაქცია, მთავარი რედაქტორი: ავთ. არაბული, თბილისი, 2010.

ქურციკიძე 1983: ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმეათონელისეულითარგმანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები V, თბილისი, 1983.

შეერთებული ლექსიკონი 2008: ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი. შედგენილია ილ. აბულაძის, აკ. შანიძის, ივ. იმნაიშვილის, ს. ყაუხჩიშვილის, კ. კეკელიძის, ზ. სარჯველაძის და სხვა ავტორთა ლექსიკონური წყაროების მიხედვით. შემდგენელი გრ. რუხაძე, რედაქტორი გ. კოპლატაძე. თბილისი, 2008.

წმ. ამბროსი მედიოლანელი: წმინდა ამბროსი მედიოლანელი. Амвросий Медиоланский, свт.(+397), Послания.–<https://azbyka.ru/biblia/UBS/>

Nino Khakhiashvili

**TOWARDS THE EXPRESSION:
“MYSTERIOUS “MAN
OF THE HEART/ MYSTERIOUS “INNER SELF”**

Summary

In the 2021 Christmas epistle of the Catholicos-Patriarch of All Georgia, Ilia II, it is read: “Like the Fathers of the Church warn us: we should not be blinded by anything, especially our worldly success, - our mind, the ability of will, creativity. We must listen to our mysterious “man of the heart”/mysterious “inner self (conscience) (1 Peter, 3,4), get acquainted with the Holy Scriptures, the teaching of the Fathers and seek in soul what is of God, which is our real “self”... (Patriarch Ilia II, 2021).

In this epistle, the words of the Apostle Peter are confirmed: “Your beauty should not come from outward adornment, such as elaborate hairstyles and the wearing of gold jewelry... Rather, it should be the hidden man of the heart, the unfading beauty of a gentle and quiet spirit, which is of great worth in God’s sight.”... (1 Peter, 3,4). As St. Ambrose of Milan points out, before the Apostle Peter, no one used such an expression - “hidden man of the heart

“... In accordance with “the man of the heart”, the Blessed Augustine uses the expression - “inner being” which is confirmed in Paul’s epistles (e.g.: “For in my inner being I delight in God’s law.” (To the Romans, 7:22); “Though our outer self is wasting away, our inner being is being renewed day by day.” (2 Corinthians , 4:16).

The present author believes that the expressions established in Georgian: voice of the heart, the answer of the heart, by the dictates of the heart... etc. are elliptical expressions in which the meaning “inner self “ or “ man of the heart”/“moral sense” has been lost [or is implied]. (Likely, it would have been: “the voice of the inner self or of man of the heart “; “the answer of the inner self or of man of the heart”; “by the dictates of the inner self or of man of the heart”, etc.).

„გელათის მემწიერებათა აკადემიის ჟურნალში“ 2022-2024 წლებში დაბეჭდილი წერილები

2022, №1-4

ნომადი ბართაია – დავით აღმაშენებლის უცნობი დამსახურების შესახებ ქართველი ერის წინაშე, რომელიც არანაკლებია დიდგორზე.

მირიან გაბუნია – სწავლება სამყაროს მეისიერი ქმნადობის შესახებ „შესაქმის“ წიგნისა და „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მიხედვით.

ეკა ვარდოშვილი – ქრისტიანული კულტურა და აკაკი წერეთლის პოეტური ქმნილებები.

ნესტან კუტივაძე – შიო არაგვისპირელის რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი მრწამსი.სათვის

გოჩა კუჭუხიძე – რენესანსის საწყისებთან (წერილი პირველი).

2023, №1

მილოცვა პატრიარქს.

საშობაო ეპისტოლე.

ელდარ ბუბულაშვილი – ღვაწლი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორისა.

მარიამ ცაცანაშვილი – ინფორმაცია (გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს გენერალური დირექტორის 2022 წლის 30 დეკემბრის N02/65 ბრძანების საფუძველზე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა).

გოჩა კუჭუხიძე – რენესანსის საწყისებთან (წერილი მეორე).

გია ხოფერია – აკაკი წერეთლის ვაჟის - ალექსის კვალდაკვალ.

ნეკროლოგი (ზაზა ალექსიძე).

2023, №2

საადგომო ეპისტოლე.

მერაბ კეზევაძე – გელათის მონასტრის მართვა-გამგეობა (1811-1923). წერილი პირველი.

მერაბ ურუშაძე – მუსიკის ზეგავლენა ადამიანის ფსიქიკაზე.

თეა ქობულაძე – პოლიგარჟე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“.

დავით შავიანიძე, ლუიზა ხაჭაპურიძე – საფლავის მოწყობის ტრადიციები აჭარასა და ტაო-კლარჯეთში (უახლესი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით).

გრიგოლ ჯოხაძე – ტაძარი, ვითარცა მეორე ცა (შუა საუკუნეთა სალიტერატურო კანონის, ბიბლიური დისკურსისა და დავით აღმაშენებლის ქართული ისტორიული ნარატივის ერთი ტოპოსის გაგებისათვის).

2023, №3

მერაბ კეზევაძე – გელათის მონასტრის მართვა-გამგეობა (1811-1923). წერილი მეორე.

ნატალია ურუშაძე – პრეზენტაცია - კოგნიტური ბარიერის გადალახვის ეფექტური სტრატეგია უცხოური ენის სწავლების პროცესში.

დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე – საქართველოს ისტორიის საკითხები კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის ნაშრომებში.

ზოია ცხადაია – გიორგი ძიგვაშვილი.

ოლეგ ჯიბაშვილი, ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე – ერეკლე მეფის მზადება ალა-მაჰმად-ხანის დასახვედრად.

2023, №4

ნომადი ბართაია – სპარსულიდან შემოსული აღმოსავლური ნასესხობების შესახებ ქართულ ჟარგონში (ვასება, კაიფი, ოფსილა, სირი, შაყირი).

დალილა ბედიანიძე – ცხოველები ქართულ ჯადოსნურ ზღაპარში (მგელი, ხარი, ძროხა).

ომარ გვეტაძე – დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ (ზოგიერთი ასპექტი).

სებასტიან (საბა) გილენი – საქართველოდან ესპანეთში მოსახლეობის მიგრაციის ზრდის განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორები (2000-2010 წლები).

ქეთევან ჯერვალიძე – „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?!“ (სამეცნიერო-ლიტერატურული ესე).

ნინო ხახიაშვილი – სიტყვა მსხემ-ის ისტორიისათვის.

2024, №1

საშობაო ეპისტოლე.

ციალა ბენდელიანი – საშობაო ალილოს ტექსტის ლიტურგიკული და ხალხური კარიანტების ურთიერთ-მიმართება.

თენგიზ გუმბერიძე – იაკობ გოგებაშვილის გამოხმაურება ონა მეუნარგიას მოგონებაზე ილიას შესახებ.

მირიან გუნია – ანტიკური პროფეტიზმი.

მერაბ კეზევაძე – გელათის მონასტრის წინამძღვრები (1811-1923 წწ.) წერილი პირველი.

მაკა სალია – ქართული სამზარეულო როგორც ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი მუჰაჯირ ქართველებში.

მიხეილ ქურდიანი – 70 (მეცნიერის გახსენება).

აუნა ზღაურებელი დანაკლისი (მიხეილ ქურდიანი)

2024, №2

საადგომო ეპისტოლე.

ნინოზაკურაძე–სილოვანხუნდაძის სახელმძღვანელოები.

თამაზ დევიძე – „გალობანი ლაზარეს და მდიდრისანი“ „ტრადიციონის“ ქართულ წყაროებში.

მარინა მწყერაშვილი – სასმელთან დაკავშირებული ლექსიკა ზემოიშვრულ კილოკავში.

დეკანოზი ლონგინოზ სუარიშვილი – ეროვნული პრინციპი ავტოკეფალიის მოპოვების გზაზე და ეთნო-ფილეთიზმი.

ნანა ფირცხალავა – იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევის სათავეებთან.

ლელა ჩოთალიშვილი – მედეას კომპლექსი - ანტიკური ფიგურის ტრანსფორმაცია.

სოფიკო ჭუმბურიძე – ფემინიზმის საკითხისათვის გაზეთ „დროებაში.“

2024, №3

იმერი ბასილაძე – სწავლების ორგანიზაცია და მეთოდოლოგია იეზუიტთა ორდენის საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

დავით იოზიძე – მწკრივთა ურთიერთმიმართება კათოლიკე ეპისტოლეთა ძველბერძნულ და ქართულ ვერსიებში (წერილი პირველი).

ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე – *მეფე ერეკლე ქართულ ფოლკლორში.*

მერაბ ურუშაძე – *„ლილის ტალღა.“*

ნანა ფირცხალავა – *მასალები აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან.*

შორენა ცაბაძე – *იდიომებისა და მათი პირდაპირი მნიშვნელობების იდენტიფიცირება, თარგმნა და ხელოვნური ინტელექტი.*

2024, №4

ციალა ბენდელიანი – *ტოპონიმ ხანძთ-ის ეტიმოლოგია.*

თენგიზ გუმბერიძე – *აკაკი წერეთელი ანტონ კათალიკოსის შესახებ.*

თამაზ დევიძე – *დიდმარხვის მეოთხე კვირის საცისკრო კანონი „მარხვანის“ ქართულ ხელნაწერებში.*

ნიკოლოზ ოთინაშვილი – *მწერლის ენის საკითხები – დიალექტიზმები ოლია ბრაგვაძის პროზაში.*

მაია ცერცვაძე – *გრიგოლ ორბელიანის ერთი პირადი წერილი.*

მარინე ხვედელიძე – *ინტერტექსტი აკა მორჩილაძის მოთხრობაში „როგორ მოკვდა ვარსკენ პიტიახში“.*

ავტორთა მონაცემები

ლევან ბრეგაძე

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,
ფილოლოგიის დოქტორი

თენგიზ გუმბარიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

დავით იობიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ფილოლოგიის დოქტორი

ნინო ხახიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას
სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-
თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი.

CONTRIBUTORS

LEVAN BREGADZE

**Shota Rustaveli Institute of Georgian Literature,
Main Scientific Member, Doctor of Philology.**

TENGIZ GUMBERIIDZE

**Akaki Tsereteli State University, Associate Professor,
Doctor of Philology.**

DAVID IOBIIDZE

**Akaki Tsereteli State University,
Doctor of Philology.**

NINO KHAKHIASHVILI

**Researcher at Arnold Chikobava Linguistics Institute
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Doctor of Philology.**

ს ა რ ჩ ე ვ ი

საშობაო ეპისტოლე – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე	3
ლევან ბრეგვაძე – ისტორიული მინიატურები	10
თენგიზ გუმბარიძე – აკაკი წერეთელი და ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთი საკითხი	29
დავით იოებიძე – მწკრივთა (ნაკვეთთა) ურთიერთმიმართება კათოლიკე ეპისტოლეთა ძველბერძნულ და ქართულ ვერსიებში (ნაწილი მეორე)	41
ნინო ხახიაშვილი – გამონათქმისათვის: „იდუმალი „გულის კაცი“)	62
„გელათის მაცნიერებათა აკადემიის ჟურნალში“ 2022-2024 წლებში დაბეჭდილი წერილები	72
ავტორთა მონაცემები	76

CONTENTS

CHRISTMAS EPISTLE of Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II	3
LEVAN BREGADZE - Historical Miniatures	28
TENGIZ GUMBERIDZE - Akaki Tsereteli and some issues of Old Georgian literature	40
DAVID IOBIDZE - Interrelation of tense paradigms of Catholic epistles in ancient Greek and Georgian versions (part II)	61
NINO KHAKHIASHVILI - Towards the expression: “mysterious “man of the heart / mysterious “inner self”	70
LETTERS PUBLISHED IN THE JOURNAL OF GELATI ACADEMIC OF SCIENCES (2022-2024)	72
CONTRIBUTORS	77

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ნაშრომის ელექტრონული ვერსია
წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე:
gelatisakademia1@gmail.com

დამაკაბადონებელი
შორენა ხუნდაძე

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა, №59.
ტელ.: რედაქტორის: 577 28-28-61;
პასუხისმგებელი მდივნის: 598 10-14-72.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა